140
1961

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პიონერი 12
1961

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოსკოვი, 27 ოქტომბერი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა

ნორჩი პიონერები ესალმებიან პარტიის ყრილობას



ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნიზმის აშენების ამერელური კოდექსი

— კომუნიზმის საქმისადმი ერთგულება, სოციალისტური სამშობლოსადმი, სოციალიზმის ქვეყნებისადმი სიყვარული;

— კეთილსინდისიერი შრომა საზოგადოების საკეთილდღეოდ: ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს;

— თვითთეულის ზრუნვა საზოგადოებრივი დოვლათის დაცვისა და გამრავლებისათვის;

— საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალი შეგნება, შეუწყნარებლობა საზოგადოებრივი ინტერესების დარღვევებისადმი;

— კოლექტივიზმი და ამხანაგური ურთიერთდახმარება: ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის;

— ჰუმანური ურთიერთობა და ურთიერთპატივისცემა ადამიანთა შორის: ადამიანი ადამიანისათვის მეგობარი, ამხანაგი და ძმა;

— პატიოსნება და სიმართლე, ზნეობრივი სიწმინდე, უბრალოება და თავმდაბლობა საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში;

— ურთიერთპატივისცემა ოჯახში, ზრუნვა ბავშვების აღზრდისათვის;

— შეურიგებლობა უსამართლობისადმი, მუქთახორობისადმი, უპატიოსნობისადმი, კარიერიზმისადმი, მომხვეჭელობისადმი;

— სსრ კავშირის ყველა ხალხის მეგობრობა და ძმობა, შეუწყნარებლობა ეროვნული და რასობრივი მტრობისადმი;

— შეურიგებლობა კომუნიზმის, ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების საქმის მტრებისადმი;

— ძმური სოლიდარობა ყველა ქვეყნის შრომელებთან, ყველა ხალხთან.

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამიდან).

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნოკრ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

რედაქტორი რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანაძე, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, რ. ქორქია, რ. ელანიძე, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი)

პიონერი

12
1961

გამოცემის წელი
XXXV

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამა



(საუბარი მესამე)

წინა საუბარში ჩვენ გავეცანით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ამოცანებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში. მაგრამ თქვენ უთუოდ გაინტერესებთ ისიც, თუ რა გზით განვითარდება სახალხო განათლება კომუნისტური მშენებლობის პირველ და მეორე ათწლეულში და როგორი იქნება საერთოდ ჩვენი სკოლა მომავალში.

აი რა არის ნათქვამი ამის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალ პროგრამაში: ყველა სკოლა მიიღებს კარგ შენობას და გადავა ერთ ცვლად მეცადინეობაზე; გაიზრდება სკოლამდელი დაწესებულებებისა და სხვადასხვა ტიპის სკოლა-ინტერნატების ქსელი. ყველა სკოლაში შეიქმნება სასწავლო სახელოსნოები, ქიმიური, ფიზიკური და სხვა კაბინეტები და ლაბორატორიები, ხოლო სოფლად, აგრეთვე, სასკოლო სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები; მსხვილ ფაბრიკა-ქარხნებში მოსწავლეთათვის აშენდება სასწავლო-საწარმოო საამქროები. სკოლებში ფართოდ იქნება გამოყენებული უახლესი ტექნიკური საშუალებანი — კინო, რადიო, ტელევიზია. ყველა სკოლაში და სკოლის გარეშე დაწესებულებაში მოეწყობა ტანვარჯიშის დარბაზები, სასპორტო ქალაქები, შეიქმნება პირობები ბავშვთა მხატვრული შემოქმედებისათვის, მუსიკაში, ფერწერასა და ქანდაკებაში მეცადინეობისათვის. გაფართოვდება ქალაქისა და სოფლის საბავშვო სტადიონების, სასპორტო სკოლების, ტურისტული ბანაკების, სათხილამურო ბაზების, საწყალჯომარდო სადგურების, აუზებისა და სხვა სასპორტო ნაგებობათა ქსელი.

ყველაფერი ეს საჭიროა იმისათვის, რომ შეიქმნას პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ განათლებისა და აღზრდის მაღალ დონეს, რადგან კომუნიზმზე გადასვლა გულისხმობს კომუნისტურად შეგნებული და დიდად განათლებული ადამიანების აღზრდას. ისეთი ადამიანების აღზრდას, რომლებსაც უნარი ექნებათ ეწეოდნენ როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ შრომას, აქტიურ საქმიანობას საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგში, მეცნიერებისა და კულტურის დარგში.

რას ნიშნავს შეგეძლოს ეწეოდე როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ შრომას?

ეს იმას ნიშნავს, რომ, მაგალითად, ზეინკალს, ტრაქტორისტს, მებაღეს ან დურგალს, რომელიც ქარხანაში, მშენებლობაზე, საბჭოთა მეურნეობასა ან კოლმეურნეობაში მუშაობს, უნდა შეეძლოს თავისუფალი დრო მოახმაროს საზოგადო მოღვაწეობას, კულტურულ ურთიერთობას, გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას და მხატვრულ შემოქმედებას. საქმე იმაშია, რომ კომუნიზმზე გადასვლის პერიოდში თანდათან შემცირდება სამუშაო დრო და ამასთან დაკავშირებით უფრო გაფართოვდება შესაძლებლობანი უნარის, ნიჭის, ტალანტის განვითარებისათვის წარმოების, მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში. ამავე დროს თვით ფიზიკური მუშაობისათვის თანდათან სულ უფრო მეტი გონებრივი შრომა იქნება საჭირო, რადგან მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი განვითარება, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რთული მანქანა-იარაღებით აღჭურვა სულ უფრო მეტ ცოდნასა და განათლებას მოითხოვს. ამიტომ, სკოლაში სწავლების ცხოვრებასთან, ნაყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიერ შრომასთან დაკავშირება ხელს შეუწყობს იმას, რომ უკეთესად მოემზადო ახალი ტექნიკით შეიარაღებული სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მუშაობისათვის და, ამავე დროს, ყველას ექნეს შესაძლებლობა შეახამოს მუშაობა სწავლისა და განათლების განგრძობასთან, პირადი მოწოდებისა და საზოგადოების მოთხოვნილებათა შესაბამისად. ეს ხელს შეუწყობს კომუნისტური საზოგადოების ყოველმხრივ განვითარებულ წევრთა ფორმირებას და გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების აღმოფხვრას.

პიონერი ვალდებულია იცოდეს, რომ საზოგადოების საკეთილდღეო შრომა თითოეული ადამიანის წმინდა მოვალეობაა. შრომით იქმნება ყველაფერი, რაც საჭიროა ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობისათვის, საზოგადოების კეთილდღეობისათვის. ადამიანი, რომელიც საზოგადოებისაგან იღებს რაიმე სიკეთეს ისე, რომ შრომაში არ მონაწილეობს, მუქთახორაა და სხვის ხარჯზე ცხოვრობს. კომუნისტურ საზოგადოებაში კი, რომლის დროშასაც აწერია: „თვითეულისაგან — უნარის მიხედვით, თვითეულს — მოთხოვნილების მიხედვით“, ადამიანს არ შეუძლია არ შრომობდეს. ამის ნებას არ მისცემს არც მისი შეგნება, არც საზოგადოებრივი აზრი. სასარგებლო შრომის უნარისა და ჩვევების გამომუშავებაში რვაწლიანი სკოლის მოსწავლეებს დიდ დახმარებას გაუწევს პიონერთა ცოდნისა და ჩვევების სანიმუშო ნუსხა ანუ „ნორჩი პიონერის საფეხურები“. იგი პიონერს ავალებს: მიეჩვიოს თვითმმსახურებას, ისწავლოს და დაამზადოს სკოლისათვის საჭირო სასწავლო ნივთები, დაეხმაროს უფროსებს საოჯახო საქმეებში, მოსავლის აღებაში, მშენებლობასა და სხვა საზოგადოებრივი სახის სამუშაოებში, მიიღოს მონაწილეობა სასკოლო შენობისა და დგამ-ავეჯის შეკეთებაში, სკოლის, აგრეთვე სოფლის რადიოფიცირებასა და ელექტროფიკაციაში, შეისწავლოს ძრავა, მანქანის მართვა და ა. შ. სწავლების პირველი ეტაპის, ე. ი. რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ, დაწყებული 15—16 წლის ასაკიდან მთელი ახალგაზრდობა უნდა ჩაებას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. უახლოესი ათწლეულისათვის, როგორც ეს პარტიის ახალი პროგრამით არის გათვალისწინებული, სავალდებულოა განათლება რვა კლასის მოცულობით ახალგაზრდობის იმ ნაწილისათვის, რომელიც დასაქმებულია სახალხო მეურნეობაში და არა აქვს სათანადო სპეციალური განათლება.

საშუალო განათლების მიღებისათვის დაწესებულია შემდეგი ძირითადი ტიპების სასწავლებლები: 1) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა საწარმოო სწავლებით, რომელშიც რვაწლიანი სკოლის კურსდამთავრებული სამი წლის განმავლობაში ღებულობს საშუალო განათლებას და პროფესიულ მომზადებას სახალხო მეურნეობის ან კულტურის ერთ-ერთ დარგში; 2) მუშა ახალგაზრდობის და სოფლის ახალგაზრდობის სკოლა — (საღამოს ცვლის) — საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რომელშიც ისწავლიან ის პირნი, რომლებმაც დაამთავრეს რვაწლიანი სკოლა და მუშაობენ სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ დარგში, იღებენ საშუალო განათლებას და იმაღლებენ პროფესიულ კვალიფიკაციას; 3) ტექნიკუმები და სხვა საშუალო სპეციალური სასწავლებლები, რომლებშიც რვაწლიანი სკოლის კურსდამთავრებულები იღებენ საშუალო სპეციალურ განათლებას.

ყველასათვის სრული საშუალო განათლების მიღების შესაძლებლობა უზრუნველყოფილი იქნება მეორე ათწლეულში. სახალხო განათლების ასეთი გზით განვითარება იმას შეუწყობს ხელს, რომ უმაღლეს სასწავლებლებში უკეთესად მომზადებული ახალგაზრდობა მივიდეს. სკოლაში სწავლების ცხოვრებასთან, შრომასთან მჭიდროდ დაკავშირება გააადვილებს და შესაძლებელს გახდის თავისუფლად, პირადი მოწოდებისა და საზოგადოების მოთხოვნილების შესაბამისად ავირჩიოთ მომავალი პროფესია, სპეციალობა.

ამავე დროს საბჭოთა ადამიანები მაღალი კულტურის და ზნეობის მატარებელნი უნდა იყვნენ. ამიტომ მოზარდი თაობა სკოლაშივე უნდა იზრდებოდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



კომუნისტური მორალის, კომუნისტური ზნეობის პრინციპებზე. თქვენ უთუოდ გახსოვთ, რას გავალებენ ნორჩ პიონერთა კანონები: კარგად ისწავლოთ, იყოთ ზრდილობიანნი და დისციპლინირებულნი, გიყვარდეთ შრომა, არ გეშინოდეთ სიძნელეებისა და ამბობდეთ მხოლოდ სიმართლეს. ადამიანის ზნეობრივი აღზრდისა და კომუნისტური მორალის დამკვიდრების საკითხებს დიდი ადგილი აქვს დათმობილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალ პროგრამაში. „კომუნისტები, — ნათქვამია პარტიის ახალ პროგრამაში, — ექსპლოატატორთა კლასობრივ მორალს უარყოფენ და ძველ სამყაროს დამახინჯებულ ეგოისტურ შეხედულებებსა და ზნე-ჩვეულებებს უპირისპირებენ კომუნისტურ მორალს — ყველაზე სამართლიან და კეთილშობილურ მორალს, რომელიც გამოხატავს მთელი მშრომელი კაცობრიობის ინტერესებსა და იდეალებს... კომუნისტური მორალი შეიცავს ძირითად ზოგადსაკაცობრიო მორალურ ნორმებს, რომლებიც ხალხის მასებმა შეიმუშავეს მრავალი ათასი წლის მანძილზე სოციალური ჩაგვრისა და ზნეობრივ მანკიერებათა წინააღმდეგ ბრძოლაში. საზოგადოების ზნეობრივ განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასის რევოლუციურ მორალს“.

თქვენ ვალდებულნი ხართ იცოდეთ და გახსოვდეთ ზნეობრივი პრინციპები, რომლებიც კომუნიზმის მშენებლის მორალურ კოდექსში შედის.

ასეთია პარტიის ამოცანები აღზრდისა და განათლების დარგში. ასეთი იქნება მომავალი სკოლა.

ახლა თქვენ უკვე იცით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის შინაარსი. იცით რა ამოცანები დასახა პარტიამ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის და შეგიძლიათ წარმოიდგინოთ თუ რა ბევრია გასაკეთებელი პარტიის ახალი პროგრამის შესრულებისათვის. მაგრამ, მარტო შინაარსის ცოდნა საკმარისი როდია. წინა საუბრებიდან თქვენ უკვე იცით, რომ პარტიის პირველი და მეორე პროგრამები წარმატებით შესრულდა. ასევე წარმატებით შესრულდება მესამე პროგრამაც, რადგან საბჭოთა ხალხმა იგი ერთსულოვნად მოიწონა და მზად არის მის შესასრულებლად. ამ დიდ, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის საქმეში თქვენც შეგიძლიათ შეიტანოთ თუნდაც მცირეოდენი წვლილი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან პიონერები კომკავშირში შესასვლელად უნდა ემზადებოდნენ, ხოლო ვლადიმერ ილიას ძე ლენინი კი გვასწავლიდა: „ახალგაზრდობის კავშირის წევრად ყოფნა ნიშნავს,— საქმე ისე წარმართო, რომ შენი შრომა, შენი ძალ-ღონე საზოგადო საქმეს მოახმარო. აი ამაში მდგომარეობს კომუნისტური აღზრდა... კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირმა თავისი განათლება, თავისი სწავლა და აღზრდა მუშათა და გლეხთა შრომასთან რომ შეაერთოს, საჭიროა ის არ ჩაიკეტოს თავის სკოლებში... მხოლოდ მუშებთან და გლეხებთან საერთო შრომაში შეიძლება გახდეთ ნამდვილი კომუნისტები“.

ისწავლეთ და იშრომეთ ისე, რომ გაიზარდოთ კომუნიზმის ღირსეულ მშენებლებად!

კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად იყავ მზად!

ოთარ ქინქლაძე

ნახ. თ. **სამხონაძისა**







ნახ. ნ. შალიკაშვილისა

სიმღერა კუბაზე

დგანან პალმები და უსმენენ. ისინი ყოველთვის ასე დგანან ზღვის პირას და ყურს უგდებენ ათასწლოვან ზღაპარს, რომელსაც ტალღები მოუთხრობენ მდუმარე ნაპირს. ზღვა ხან ჩურჩულებს, ეალერსება ნაპირს, ხან მრისხანე ტალღების ჯარით უტევს მიუვალ კლდეებს. მაგრამ ნაპირი დუმს და უსმენს. რას დააკლებენ ტალღები კლდეებს, კლდეებს, რომელთაც ძალუძთ ამაყად გასძახონ მსოფლიოს:

— მე კუბა ვარ!

ქარი მოაქროლებს სამხედრო კიჟინას ოკეანეზე და ესმის ყველას, ვის სიხარულით, ვის ბრაზითა და კანკალით:

— დიახ! მე რევოლუციური კუბა ვარ!

სერავენ ტალღებს კაცთმოძულე მეკობრეები კრეისერებზე და ავიამზიდებზე ამხედრებულნი; კბილებამდე შეიარაღებული ჯარისკაცები მზად არიან ეცნენ და დაგლიჯონ კუბა. შიშით ჰყვირიან ბირჟის საქმოსნები. მილიონერები დასტირიან დაკარგულ მილიონებს და ახალი მილიონებით აიარაღებენ მათ, ვინც მზად არის შესწიროს სიცოცხლე მათ მილიონებს.

იარაღის უსიამო ჟღარუნი ესმის კუბას და კუბა ელოდება. არა, კუბა არ სდუმს, იგი მზად არის. მზად არის ხალხი პატარა კუბის დასაცავად. ისინი დაეწყვნენ მწყობრში და მოდიან. მოდიან კუბელი პატრიოტები, ფიდელ კასტროს თანამებრძოლები: მამაცი წვეროსნები და ახალგაზრდა მილიციანოს, მოხუცები და მათი შვილები, ქალები — თოფებით და პატარები — მგზნებარე გულებით.

...მას არ წაუკითხავს «გავროში», მან არ იცის ვინ არის ვიქტორ ჰიუგო, მან მხოლოდ ახლა ისწავლა წერა-კითხვა, სამაგიეროდ მან იცის სიმღერა!

მისი წკრიალა ხმა ისმის ყველგან, ის მღერის თავისუფლებაზე და სამშობლოზე, ხალხს უყვარს მისი სიმღერა.

მისი სახელია ერნესტო. ის პატარაა, ის მხოლოდ ათი წლის არის, მაგრამ მას ყველა იცნობს, ისიც იცნობს ყველას, ის არ იცნობს მხოლოდ თავის მამას, რომელიც დაიღუპა ფიდელ კასტროსათვის ბრძოლაში. მას ცუდად ახსოვს დედაც, რომელიც მოკლეს დიქტატორ ბატისტას კაცებმა.

მაგრამ მხიარულია ერნესტო, შავი თვალები შვენის და ღიმილი. მისი გამხდარი, მზით გარუჯული სახე ყოველთვის იცინის. პატარა სამხრეებიანი მწვანე ხალათი აცვია, როგორც ფიდელ კასტროს თანამებრძოლებს, ისეთივე შარვალი... მხოლოდ ფეხსაცმელი არ აცვია, პატარაა და ჯერ ვერ მისჩვეულია ფეხსაცმელს.

ერნესტოს სურდა გამხდარიყო ჯარისკაცი, სურდა ევლო თავისუფლებისათვის მებრძოლთა გვერდით, იარაღით ხელში წასულიყო იქ, სადაც ძალიან საშიში იყო, რათა ეთქვა იანკებისათვის—არა! არა!

მან იცოდა, რომ თვითმფრინავები, რომლებსაც ესროდნენ და ამსხვრევდნენ კუბელები, ეკუთვნოდათ იანკებს. ის ხედავდა, როგორ იწვოდნენ თვითმფრინავები და უხაროდა—მას ძალიან უყვარდა პატარა კუბა.

«მამიტა* კუბავ,
ჩემო ქვეყანა!»... —

* მამიტა—ძვირფასო.

ისმოდა მისი წკრიალა ხმა და ყველა ხედავდა პატარა ერნესტოს, რომელიც მოაბიჯებდა და მღეროდა სამშობლოზე.

მიდიოდნენ სახალხო მილიციის მებრძოლები, ისინი მიდიოდნენ მტერთან საბრძოლველად. მათი სახეები არაფერს კარგს არ უქადდა მას, ვინც ვერაგულად დაესხა თავს სამშობლოს.

მიდიოდა ერნესტოც. ის არ წაიყვანეს—მას უთხრეს:

— შენ აქ დარჩი, პატარა ერნესტო! ჩვენ მივდივართ შენი მომავლისათვის თავის დასადებად! ჩვენ მივდივართ შენი ბედნიერებისათვის საბრძოლველად!

— მეც მინდა თქვენთან ერთად ბრძოლა!—თქვა ერნესტომ.

მაგრამ ის არ წაიყვანეს, მას გაუღიმეს, მოეალერსნენ, აჩვენეს ყველაფერი გარშემო და უთხრეს:

— ხედავ? ეს შენი სამშობლოა, ეს კუბაა, იგი გეკუთვნის შენ, შენ მისი პატრონი ხარ დარჩი აქ, პატარა ერნესტო, და იმღერე მისთვის!

ისინი წავიდნენ. მიწყნარდნენ ნაბიჯები. ერნესტო იდგა და ტიროდა. მდუღარე ცრემლები მოედინებოდნენ ლოყებზე. მაგრამ ის არ იმშრალებდა ლოყებს. ის ტიროდა იმიტომ, რომ ჯერ კიდევ პატარა იყო, იმიტომ, რომ ის იყო ათი წლის, იმიტომ, რომ მას სურდა ბრძოლა მათთან ერთად.

უცებ რაღაც გადაწყვიტა, შეიმშრალა თვალები, გაიღიმა და წავიდა იქით, საითაც წავიდნენ მებრძოლები.

ის მიდიოდა საბრძოლველად. მას არ ქონდა იარაღი, მაგრამ მან იცოდა სიმღერა და მღეროდა:

«მამიტა კუბავ,
ჩემო ქვეყანა!»...

ის უმღეროდა ჯარისკაცებს, რომლებიც მიდიოდნენ საბრძოლველად და უქნევდნენ მას ხელს. ის უმღეროდა დაჭრილებს, რომლებიც უღიმოდნენ მას. ის უმღეროდა ხალხს, რომელიც იარაღს ისხამდა. ის უმღეროდა ყველას, ვინც მზად იყო კუბისათვის საბრძოლველად.

ერნესტოს ხედავდნენ ყველგან: გზაზე, რომელიც მიიკლაკნებოდა მოწინავე ხაზზე, სანგრებში, ჯარისკაცების გვერდით. როგორც კი იწყებოდა სროლა, მზრუნველ მებრძოლებს მიყავდათ იგი თავშესაფარში, ის კი მღეროდა და, როგორც კი შეწყდებოდა ცეცხლი, მისი ხმა სწვდებოდა ყოველ კუთხეს.

იგი მღეროდა სამშობლოზე, იგი მღეროდა თავისუფლებაზე. რგი მღეროდა ისეთი აღფრთოვანებითა და სილამაზით, რომ ცრემლი თავისთავად მოედინებოდა მებრძოლთა თვალებიდან და ისინიც იწყებდნენ სიმღერას. სიმღერა იღვრებოდა სანგრიდან სანგარში. მღეროდნენ სულ ახალი და ახალი მეომრები.

სიმღერა მრისხანედ მიქროდა მტრის ბუნაგისაკენ და შეშინებული მტერი იწყებდა უწესრიგო სროლას. მტერს ვერ გაეგო, როგორ შეიძლებოდა სიმღერა მოწინავე ხაზზე, როცა ყველგან სიკვდილი იყო ჩასაფრებული. მტერს ეშინოდა ამ სიმღერის და ცდილობდა ცეცხლით ჩაეჩუმებინა ის. მაგრამ შეიძლება განა სიმღერის ჩაჩუმება?!

ერნესტო ადიოდა სანგრის მიწაყრილზე, როცა მებრძოლები მიდიოდნენ შეტევაზე, და მღეროდა, მღეროდა მთელი გულით. ძალიან გულადი იყო ერნესტო. მას არ ეშინოდა ტყვიების და ტყვიებიც გვერდს უვლიდნენ მას.

მტერი უტევდა და კუბელები ცეცხლით ხვდებოდნენ მათ. კაკანებდნენ ტყვიამფრქვევები, ქუხდნენ ზარბაზნები, სკდებოდნენ ნაღმები, ისროდნენ კარაბინები და ავტომატები, მაგრამ ერნესტოს სიმღერა არ წყდებოდა და მებრძოლები მღეროდნენ ამ სიმღერას:

«მამიტა კუბავ,
ჩემო ქვეყანა!»

ხელებაწეული გამოდიოდნენ იანკები და ყრიდნენ იარაღს. მხიარული ერნესტო ბედნიერი სიცილით ხვდებოდა მათ.

— რაო, იანკი,—ყვიროდა ის,— კარგია ჩვენი კუბა?

...ერნესტო იდგა პატარა ბორცვზე და უმღეროდა მებრძოლებს, რომლებიც მის გარშემო შემოკრებილიყვნენ და ყურს უგდებდნენ. ის მღეროდა: თავი გადაეგდო უკან, ხელები გაეშალა, თითქოს მზად იყო მოხვეოდა სამყაროს, ქვეყნიერებას, ბედნიერებას, თავისუფლებას.

უცებ გაისმა სროლა. შორს გამოჩნდა მტერი.

— საბრძოლველად მოემზადეთ!— გაისმა ბრძანება.

ჯარისკაცებმა ხელი დასტაცეს იარაღს და მიწვნენ. ერნესტომ აიტაცა

ქვა და მოემზადა. მტერი სწრაფად ახლოვდებოდა. აი, უკვე შეიძლებოდა მათი გამხეცებული სახეების დანახვა.

— ცეცხლი!

აკაკანდნენ ტყვიამფრქვევები, ალაპარაკდნენ ავტომატები. და ერნესტოს პატარა ხელებმა სტყორცნეს ქვა.

აი, ის დაიღუნა, იწყო მოზრდილი ქვის ძებნა, იპოვა და სტყორცნა, და ისევ და ისევ.

აი, კვლავ გასწორდა, მოიქნია, მაგრამ... რაღაც მოხვდა გულში და ეტკინა ძალზე. თვალთ დაუბნელდა, ყველაფერი დატრიალდა ირგვლივ, ხმაური შეწყდა და შემდეგ განუწყვეტელ გრუხუნში გადაიზარდა.

იგი დაეცა და დახუჭა თვალები, გული იცლებოდა სისხლისაგან, ის ვერ ინძრეოდა, გული ძალიან სტკიოდა. დახუჭული თვალები სავსე იყო ცრემლით.

მან ძლივს გაახილა ისინი, რათა ცრემლიანი თვალებით დაენახა საყვარელი სამშობლოს ლურჯი ცა, რათა დაენახა გარშემო მდგარი მებრძოლების მოღუშული სახეები, რომლებსაც უმღეროდა ის და რომლებიც ახლა დასტიროდნენ მას. მან გაუღიმა ყველას, სიცოცხლეს, ცას, კუბას, მებრძოლებს და ამღერდა:

«მამიტა კუბავ»...

მას სურდა სიმღერა, მაგრამ ხმა აღარ ჰყოფნიდა. მებრძოლები აჰყვნენ სამაგიეროდ. მას უკვე აღარაფერი ესმოდა. ის იწვა ბორცვზე, დახუჭული შავი თვალებით, მზისგან გარუჯული, მომღიმარი სახით, სამხრეებიან მწვანე ხალათში, ისეთში, როგორიც აცვია ფიდელ კასტროს, და ქვით პატარა ხელში...

მებრძოლები კი განაგრძობდნენ სიმღერას, მათ არ სჯეროდათ, რომ შეიძლებოდა მომკვდარიყო ერნესტო—პატარა ერნესტო, მხიარული, წკრიალა ხმით.

მას ასაფლავებდნენ დაღუპულ მებრძოლებთან ერთად. ოთხ წვეროსან მამაკაცს მიჰქონდა მისი პატარა კუბო, თავისუფალი კუბის დროშით დაფარული.

გვერდით მიდიოდნენ გულადი ფიდელ კასტრო, პრეზიდენტი და მებრძოლი ოსვალდო დორტიკოსი, უკან მიყვებოდა ხალხი, რევოლუციური კუბის თავისუფლებისმოყვარე ხალხი.

მის საფლავზე ცრემლებს ღვრიდნენ ისინი, ვისაც ასე ძალიან უყვარდა მისი სიმღერა. აქ დაიფიცეს კუბელებმა მოესპოთ მტერი და მოსპეს.

დღეს კუბის მიწაზე არ არის მტერი—იგი განდევნეს, მაგრამ მტერი არ ცხრება. მისი ზარბაზნები კვლავ ემუქრებიან პატარა კუბას. ზღვის მეკობრეები სერავენ ტალღებს. მაგრამ კუბას ვერ შეაკრთობენ, ვერ შეაშინებენ ხალხს, რომელსაც ასე უყვარს თავისი სამშობლო.

დგას ოკეანეში თავისუფალი კუნძული და მოუთხრობს ზღვის სიღრმეთა მბრძანებელს ნამდვილ ამბავს პატარა ერნესტოზე. ოკეანე ყურს უგდებს. იგი დგას და ეშინია განძრევის. ხანდახან ვერ მოითმენს და ამოიოხრებს. ოხვრა მიაქროლებს გიგანტის სარკისებურ ზედაპირზე ჩურჩულს, და მახვილი სმენა ყურს მოკრავს ერნესტოს სახელს.

კუნძული კი დგას ამაყი და თავისუფალი, იგი ეუბნება მთელ მსოფლიოს:

— მე კუბა ვარ! დიახ, თავისუფალი კუბა!

ნანული უჩავა,
თბილისის 67-ე საშ. სკოლის
მე-8[1] კლასის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო სულაბერიძე

ფოტო შ. გოქაძისა

1.

დიდხანს ემსახურა ჩაიდანი ბებიას. სულ თბილი იყო ბებიას ხელში ჩაიდანი. დილით ადრე წამოდგებოდა ბებია, აავსებდა წყლით ჩაიდანს, დადგამდა ნავთქურაზე. თვითონ მაგიდაზე საუზმის გაწყობას შეუდგებოდა. მალე გია და ნელი წამოდგებიან. დედა და მამა უკვე ფეხზე დგანან და სამსახურში წასასვლელად ემზადებიან, მათთვის ამზადებს ბებია საუზმეს.

საუზმისათვის ფაცი-ფუცში ხანდახან მიავიწყდებოდა ხოლმე ჩაიდანი. ადუღდებოდა წყალი, ჩუხჩუხებდა და ჩუხჩუხებდა ჩაიდანი. ორთქლი ისე ამოქრებოდა ჩაიდნის ყელიდან, თითქოს ნავთქურაზე პატარა ორთქლმავალი იდგა და საცაა ადგილიდან დაიძრებაო.

მერე მაგიდაზე შემოსკუპდებოდა ლამაზი და კრიალა ჩაიდანი. ასხამდა და ასხამდა ბებია ჩაის.

სულ თბილი იყო ჩაიდანი.

ხან ხეხავდა ბებია.

ხან სახურავი გადმოუვარდებოდა ბებიას, იატაკზე ბრახვანს გაადენდა სახურავი, ჩაიდანი პირს დააღებდა და თითქოს ხარხარებდა, უხაროდა, ბებია რომ გააწვალა, სახურავს რომ უჯავრდებოდა ბებია.

ცხოვრობდა ასე ჩაიდანი გიასა და ნელის ოჯახში. დიდხანს, დიდხანს ცხოვრობდა და სულ თბილი იყო ჩაიდანი.

ერთხელ უეცრად რამდენიმე ადგილას დაისვრიტა ჩაიდანი, წყალს აღარ იკავებდა. ჯერ შეაკეთებინა ბებიამ. მერე ისევ დაისვრიტა. ბოლოს სამზარეულო ოთახის კუთხეში მიაგდო ჩაიდანი ბებიამ. მოიწყინა ჩაიდანმა, დაღვრემილი შესცქეროდა, მეორე, ახალი ჩაიდანი რომ თუხთუხებდა ნავთქურაზე.

ერთ დღეს ფეხი წამოკრა ბებიამ ძველ ჩაიდანს, კინაღამ წაიქცა ბებია. ხელი დასტაცა გაბრაზებულმა ბებიამ ჩაიდანს და ფანჯრიდან ეზოს კუთხეში გადაქძახა.

და დიდხანს ეგდო ეზოს კუთხეში ჩაიდანი. წვიმის წყალი ეღვრებოდა, ნატრობდა ალბათ ჩაიდანი, ნეტა წვიმამ ამავსოს წყლითაო, მაგრამ წყალი აღარ უდგებოდა. იჟანგებოდა და იჟანგებოდა ჩაიდანი. ფანჯრიდან რომ შემოესმებოდა, ნავთქურაზე დადგმული ახალი ჩაიდანი როგორ თუხთუხებდა, ისევ ინატრებდა ხოლმე ჩაიდანი, ნეტავი ერთხელ მაინც ხელი მომკიდოს ბებიამ, იმ ნავთქურაზე შემომდგას და შემათბოსო.

მაგრამ აღარავინ აკითხავდა ჩაიდანს.

შარშან მოულოდნელად გია და ნელი თავს წაადგნენ ჩაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე პიონერული ელმავლის პირველი მგზავრები სიხარულით უქნევენ ხელს თავიანთ თანატოლებს.

დანს, ხელი დასტაცეს და სხვა ძველმანჭურჭლებთან, თუნუქის ღუმელთან და დაჟანგულ რკინის ნატეხებთან ერთად, სკოლისაკენ გააქანეს. სკოლის ეზოში უამრავი ასეთი ძველი რკინეულობა შეეგროვებიათ წითელყელსახვევიან ყმაწვილებს. იმ ახორხილ ძველმანებში გადაუძახეს ჩაიდანი გიამ და ნელიმ. აჩხარუნდა ჩაიდანი. თითქოს კარგა ხანს ხმაჩაწყვეტილმა ენა აიდგაო.

ჩხარუნ-ჩხარუნით რუსთავისაკენ გააქანეს. იქ უამრავ ძველ რკინეულობასთან ერთად ვეება ღუმელში ჩააგდეს ჩაიდანი. ცეცხლი შეუნთეს ღუმელს, გათბა ჩაიდანი, სიხარულისაგან მთლად გალღვა ჩაიდანი. თხელ ფურცლებად გააბრტყელეს გადამდნარი ძველმანი რკინეული და ელმავალსაამშენებლო ქარხნის ეზოში მიიტანეს. ის ფურცელი, რომელიც ჩვენი ნაცნობი ჩაიდნიდანაც იყო გაკეთებული, ელმავალმშენებლებმა ელმავალს სახურავად დააფარეს.

ელმავალს დიდი ასოებით წააწერეს: „პიონერი-2“.

2.

ამ დილით სხვა პიონერებთან ერთად მივიდნენ თბილისის ელმავალსაამშენებლო ქარხნის ეზოში გია და ნელი.

მზიანი დღეა. შემოდგომის ქარი ქრის და ხეებიდან ნაადრევად ჩამოცვენილ ყვითელ ფოთლებს აფარფატებს აქეთ-იქით.

თბილისის ლენინის სახელობის რაიონის პიონერებს თავი მოუყრიათ ქარხნის ვეება კარებთან. კარებზე წითელი ლენტია დაბმული. ლენტს იქეთ რკინის ლიანდაგზე ვეება ელმავალი დგას. ბავშვები გარს ეხვევიან ახალ ელმავალს.

იგი ახალგაზრდა ელმავალმშენებლებმა გააკეთეს. ამ სამი წლის განმავლობაში ქარხანამ ბევრი ელმავალი გამოუშვა. ამ ელმავალს კი აწერია: „პიონერი-2“. „პიონერი“ იმიტომ წააწერეს, რომ ის პიონერების მიერ შეგროვებული ჯართისაგან გაკეთდა, ამ რაიონის პიონერებმა რომ 390 ტონა ჯართი შეაგროვეს! „2“ იმიტომ აწერია, რომ რიცხვით ის მეორე პიონერული ელმავალია. პირველი ელმავალი 1959 წელს გააკეთეს და ახლა ის შორეულ გზებზე დაქრის.

პიონერები გარს ეხვევიან ელმავალს. ყველა სიხარულითა და სიამაყით შესცქერის მას.

გია და ნელი თვალს არ აშორებენ ელმავალს, თითქოს იმ ადგილს ეძებენ, სადაც მათი ძველი ჩაიდანი უნდა იყოს. გიამ ნელი ელმავალთან დაიყენა და თავის ფოტოაპარატით სურათი გადაიღო.

უეცრად რადიორეპროდუქტორიდან მქუხარე ტაშის ხმა გაისმა. ყველა რადიოს შეაჩერდა. ეს—მოსკოვში დაქუხებული ტაშის ხმაა. დღეს ხომ 17 ოქტომბერია. ახლა 11 საათია. გაიხსნა მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა. დელეგატები მქუხარე ოვაციით ხვდებიან ყრილობის გახსნას.

12 საათზე ქარხნის წინ პატარა ტრიბუნასთან შემოვარდნენ პიონერები და ქარხნის მუშები. გაიხსნა პიონერული ელმავლისადმი მიძღვნილი მიტინგი.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან პიონერები და ქარხნის მუშები. მთავარი ინჟინერი აპოლონ მასხარაშვილი მხურვა-

დიმიტრი გოგიჩაძემ, ნოდარ მაისურაძემ, ყაზბეგ ფილიევმა და სხვებმა ყველაზე მეტად იხახელეს თავი ჯართის შეგროვებაში და წითელი ლენტის გა დაჭრაც მათ დაევალათ.

ლედ მიესალმა პიონერებს და უსურვა მათ კვლავ ახალი წარმატებით ისწავლონ და იშრომონ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

პიონერები ნინო ეპიტაშვილი, რაია პავლოვა და სხვები მადლობას უძღვნიან ელმავალმშენებლებს.

პიონეროა რაიონული შტაბის თავმჯდომარე, მე-8 კლასის მოსწავლე ფელიქს კალანდარიშვილი, კითხულობს დეპეშას პარტიის XXII ყრილობისადმი. დეპეშით პიონერები მხურვალედ ესალმებიან მშობლიურ პარტიას და პირობას აძლევენ მას, რომ იქნებიან დიდი ლენინის საქმის ერთგულნი.

ლენინის რაიონის კომკავშირის რაიკომის მდივანი მადონა ბერაძე სიგელებს ურიგებს ჯართის შეგროვებაში მოწინავე პიონერებს და სახელოვან ელმავალმშენებლებს.

საპატიო პიონერებად ირჩევენ ქარხნის მთავარ ინჟინერს აპოლონ მასხარაშვილს, ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანს მარო მიქაბერიძეს, და კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელს ლერი ჯიბლაძეს. მათ წითელი ყელსახვევები შემოასხვიეს ყელზე.

დამთავრდა მიტინგი.

3.

წითელ ლენტთან მიდიოდნენ პიონერები: დიმიტრი გოგიჩაძე, ნოდარ მაისურაძე, ყაზბეგ ფილოევი და გივი ავეტისიანი. მათ ყველაზე მეტად ისახელეს თავი ჯართის შეგროვებაში და ყველა პიონერის სახელით მეორე პიონერული ელმავლის პირველი მგზავრები ისინი უნდა ყოფილიყვნენ.

პიონერებმა ლენტი გაჭრეს და ელმავალზე ავიდნენ.

ელმავალმა დაიზუზუნა და პიონერების ტაშის გრიალში და მხიარულ შეძახილებში ელმავალი ადგილიდან დაიძრა. ბავშვები ფერად ყვავილებს აყრიან ელმავალს. ელმავალი ქარხნის ეზოში გამოვიდა. მისი პირველი მგზავრები ხელებს უქნევენ მეგობრებს.

შემოდგომის მზის სხივები ალიცლიცდნენ ელმავლის პრიალა კედლებზე.

წავა ეს ელმავალი და იქროლებს ჩვენი სამშობლოს შორეულ რკინიგზებზე. სად რას წაიღებს და სად რას. მაღაროებიდან უამრავ მადანს მიზიდავს მეტალურგიულ ქარხნებში, კოლმეურნეობებში კომბაინებსა და ტრაქტორებს ჩაიტანს, დიდი ელსადგურების მშენებლობებზე ვეება ტურბინებს მიიტანს, ყამირი მიწებიდან ხორბალს ჩამოურიგებს ქალაქებს.

არა, არ უნდა ამ ელმავალს ზარბაზნებისა და ტანკების ზიდვა, დაჭრილი ჯარისკაცების ჰოსპიტალში გადაყვანა.

სამშვიდობო საქმეებისათვის ქროლვა უნდა ამ ელმავალს.

იქნება სულ მალე გიას და ნელის ბებიამ შვილიშვილებთან ერთად სადმე ისურვოს მატარებლით გამგზავრება. იქნება ასეც მოხდეს: ამ ელმავალმა წაიყვანოს ისინი. გია და ნელი რომ ეტყვიან, ის ელმავალი ჩვენი ძველი ჩაიდნიდან არის გაკეთებულიო, სიცილით მოკვდება ბებია, არ დაიჯერებს. კარგად როცა აუხსნიან გია და ნელი, მერე კი დაიჯერებს ბებია. მოაგონდება ძველი ჩაიდანი. შეიძლება ინანოს კიდეც ბებიამ, იმდენი ხნის ნაამაგარი ჩაიდანი ასე როგორ მოიძულა და უპატრონოდ მიაგდო ეზოს კუთხეში.

ჰოდა, იმის სანაცვლოდ რომ აქვს ახლა ბებიას, ის მეორე ჩაიდანი, როცა დაძველდება და სადმე სამზარეულო ოთახის კუთხეში იქნება მიგდებული, ფეხიც რომ წამოკრას ბებიამ, მაინც აღარ გაბრაზდება და აღარ გადააგდებს. მოიხმობს გიას და ნელის, მისცემს მათ იმ ჩაიდანს და ეტყვის:

— წაიღეთ, შვილებო, ელმავლები კიდევ ბევრია საჭირო!

და ვინ იცის, მერამდენე იქნება ის პიონერული ელმავალი.

იქროლებენ და იქროლებენ ჩვენი სამშობლოს უსაზღვრო გზებზე პიონერული ელმავლები.

1928 წლის 5 ოქტომბერს წითელ საჰაერო ფლოტს საჩუქრად გადაეცა თვითმფრინავი «პიონერი», რომელიც პიონერთა სახსრებით იყო აგებული. ამასთან დაკავშირებით, საჰაერო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატმა პიონერებს და მოსწავლეებს მისალმება გაუგზავნა.

1929 წლის ნოემბერში, პიონერი გოგონების მიბაძვით, ქალაქ ნუხას (აზერბაიჯანი) მოსწავლე გოგონებმა მოიხსნეს ჩადრი.

1929 წლის 18—25 აგვისტოს მოსკოვში შედგა პიონერთა პირველი საკავშირო შეკრება. შეკრებაში მონაწილეობდა 7.000-მდე დელეგატი. 25 აგვისტოს, შეკრების დახურვის დღეს, ვლადიმერ მაიაკოვსკიმ ბავშვებს შეკრებისადმი მიძღვნილი ლექსი წაუკითხა.

1930 წლის 15 ოქტომბერს მოსკოვში გაიხსნა ბავშკორთა საკავშირო შეკრება. შეკრების დელეგატებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მიესალმა ემელიან იაროსლავსკი.

1932 წლის 21 აპრილს, პიონერთა ორგანიზაციის 10 წლისთავთან დაკავშირებით, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება «პიონერთა ორგანიზაციის მუშაობის შესახებ». ცენტრალურმა კომიტეტმა პიონერთა წინაშე დასვა ამოცანა: აემაღლებინათ სწავლის დონე, ღრმად შეესწავლათ მეცნიერებათა საფუძვლები, განემტკიცებინათ შეგნებული დისციპლინა.

1932 წლის 24 ნოემბერს ლენინგრადელმა პიონერებმა საჰაერო ფლოტს გადასცეს თვითმფრინავი «ლენინსკიე ისკრი», რომელიც პიონერთა და მოსწავლეთა თანხებით იყო აგებული.

1933 წლის 12 ივლისს მოსკოვის აეროდრომზე, საჰაერო ფლოტს გადაეცა თვითმფრინავი «პიონერსკაია პრავდა», რომელიც მოსწავლეთა და პიონერთა თანხებით იყო აგებული.

1934 წლის 4 იანვარს მოსკოვში გაიხსნა ნორჩ მოჭადრაკეთა საკავშირო ტურნირი. ტურნირში მონაწილეობდნენ 18 ქალაქის წარმომადგენლები. გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა.

1934 წლის 19 აპრილს მ. ი. კალინინი ესაუბრა მოსკოველ ფრიადოსან პიონერებს. მიხეილ ივანეს ძემ თქვა: სწავლა საჭიროა, მაგრამ სპორტიც არ უნდა დაივიწყოთ. ჩვენ გვჭირდება ჯანმრთელი, ძლიერი, მამაცი და, რასაკვირველია, მცოდნე ადამიანები. გაიზარდეთ გმირებად.

გაფეხილი ქაფქირი

ნინო ბეზარაშვილი

ნახ. გ. თოთიბაძისა

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ზურას ადრიანად გაეღვიძა. ტანთ ჩაიცვა, სპორტულ ფეხსაცმელში წაჰყო ფეხი და გარეთ გამოვიდა. ბიჭმა კაკლის ხის ქვეშ, ღობის ძირში დატანებულ ძველ ქართულ კრამიტს გაუშტერა თვალი. კრამიტზე ძველებურად აღარ მოჩუხჩუხებდა წყალი. მაშინვე ღობესთან მიიჭრა. ჯაგებში ჩაჭედილ წალმის კონას გადაალაჯა და მეზობლის ბაღჩაში ამოჰყო თავი. ღობის ჩასწვრივ საგრძნობლად ადიდებული რუ მოჩხრიალებდა. ჩიტებივით მიჰქროდნენ ქაფმოდებული პაწია ტაღღები და გაბარდულ ლაშქარებში უჩინარდებოდნენ.

ზურა კაკლის ქვეშ შეჩერდა. რუდან წყლის ერთი ტოტი ღობეში დატანებული ძველქართული, ღარისებური კრამიტით ზურაანთ ეზოში გადადიოდა. მაგრამ ახლა მათ ეზოსაკენ მიმავალი პატარა რუს ნაკვალევიც კი ვერ დაინახა. წუხანდელ კოკისპირულ წვიმას შლამი მოეტანა და მთლად ამოევსო.

ზურა მალე გამობრუნდა. ჯერ გარეთ მოათვალიერა, იქნებ სადმე თოხი ეგდოსო, რაკი ვერ იპოვა, ახლა მარანს მიაშურა. მარნის კუთხეში ერთი კბილმოტეხილი ფიწლისა და ახლადგათლილი ბარის ტარის მეტი ვერა დაინახა რა. ბიჭმა უცბად კედელზე მიკიდებულ სპილენძის ქაფქირს მოჰკრა თვალი. წელიწადში ერთი-ორჯერ თუ ჩამოიღებდა ბებია, თორემ რაც თავი ახსოვს ზურას, ქაფქირი სულ აქ ეკიდა.

— ეს ქაფქირი თოხის პირის ტოლი შეიძლება არ იყოს, მაგრამ აღარც ნაკლები იქნება. ამით მშვენივრად გაიწმინდება რუ! — ჩაიბუტბუტა ბიჭმა და თითის წვერებზე დადგა. ძლივს, როგორც იქნა, მისწვდა ქაფქირს და ჩამოიღო.

ცოტა ხნის შემდეგ ზურა ქაფქირით რუს სწმენდდა. ქაფქირს, უფრო სწორად რომ ითქვას, იშველიებდა. არ უშინდებოდა შლამში შერეულ ნაფოტებსა და ძეძვებს. ორიოდე ქაფქირი შლამი და — წყალიც გადმოვიდოდა. მაგრამ ერთ ადგილას ქაფქირი ღრმად წავიდა, რაღაც სიმაგრეს მოედო. „ქვა მოუტანია წყალს“, — გაიფიქრა ზურამ და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ამოსწია ქაფქირი. ქვა ამოვარდა. წყალმაც იხუვლა, კრამიტზე დაეშვა და ძველებურად ალიკლიკდა. ზურას სულაც არ გახარებია: ხელში ქაფქირის ტარიღა ეჭირა, ქაფქირის პირი კი რუს ნაპირზე დაგროვილ შლამში ჩაფლულიყო. სინანულით დაჰყურებდა ზურა გატეხილ ქაფქირს და აგონდებოდა, როგორ ამოჰქონდა ბებიას, როგორც თვითონ ეძახდა, თავისი მზითვის ქაფქირით ვეება ქვაბიდან გაფუფქული ღორის თავ-ფეხი. სხვა ქაფქირს ხელსაც არ ახლებდა: „ეს ბარაქიანი და მაგარიაო“.

„გაბრაზდება ბებია!“ — გაიფიქრა ბიჭმა. ფრთხილად ამოაძრო შლამიდან ქაფქირის ნახევარი. ტარიც ზედ დაადო, ხალათის ქვეშ ამოიფარა და ისევ ეზოში გადავიდა. ბედზე არავინ ჩანდა. დედა, მამა და ბებია დილითვე წასულიყვნენ სამუშაოდ. ზურამ გაბედულად გასწია სახლის გვერდზე დაგროვილ ფიჩხის კონებისაკენ. დაიკუზა, ხელით გასწი-გამოსწია ფიჩხები, შიგ შეძვრა და გატეხილი ქაფქირი ქვეშ შეაცურა. გამოძრომისას მკლავი გაეკაწრა ჩხრიმალზე, ხელებიც გაუტალახიანდა, მაგრამ ამას აღარ ჩიოდა, რაკი ქაფქირი თვალს მოაფარა.

* * *

— ქვაბები, ტაფები მოვკალოთ! — შემოესმა ერთხელ ბაღჩაში მომუშავე ზურას. სადღაც ძაღლმა შეჰყეფა. იმას მეორე აჰყვა, ერთიც სოფლის ბოლოდან გამოეხმაურათ, მაგრამ მაღალი, მხრებში ოდნავ მოხრილი კაცი, რომელსაც მარცხენა ხელით ვეება, მურიანი ტომარა გადაეგდო მხარზე, მარჯვენათი კი თავის თავზე ბევრად მაღალი კეტი ეჭირა, მშვიდად მოაბრახუნებდა დამტვერილ ჩექმებს. კარგად იცოდა, თუ უბანში რომელიმე ბიჭი არა ჩანდა, ძაღლები მხოლოდ შორიდან მოიქავებდნენ პირს ყეფით. მისი კეტის გემო იცოდნენ და ახლოს მისვლისა ეშინოდათ.

ძაღლმა კაცმა ზურას წინ ჩამოუარა. ეს — მირზა ლეკი იყო. პატარაობისას ამაზე ეტყოდა ხოლმე ბებია, როცა ზურა რამეს დააშავებდა:

„გაჩერდი, თორემ მირზა ლეკი მოვა, ტომარაში ჩაგსვამს და წაგიყვანსო“.

პატარაობაში ზურას ეშინოდა მირზასი. როცა მის ხმას გაიგონებდა, დასამალად გარბოდა. სულერთი იყო მისთვის, სად დაიმალებოდა — ტახტქვეშ, თუ ბებერი კრუხის საბუდრის დაფუტუროებულ გოდორში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ზურა მოიზარდა და მკლავში ბიჭური ძალა იგრძნო, ლაჩრობად ჩათვალა დამალვა და, როგორც ბებიასაგან ჰქონდა გაგონილი, „ბალღიჭერია ლეკის“ მტრობას იმით ამჟღავნებდა, რომ მირზას დანახვაზე აღავღავებულ ძაღლებს უარესად აფუცხუნებდა.

— ქსიტ, ქსიტ! — დასჭყივლებდა ხოლმე და ძაღლებიც მირზას გრძელ ფარაჯას ერთ დღეს აყენებდნენ, ბოლოებს უწეწავდნენ და უფლეთავდნენ.

— ქვაბები, ტაფები მოვკალოოოთ! — კიდევ მოესმა ზურას. წინათ ამ ხმის გაგონება და საეშმაკოდ მომზადება ერთი იყო. მაგრამ ახლა სხვანაირად ჩაფიქრდა: გაახსენდა, რომ ერთხელ მეზობელმა მირზას გასაკეთებლად ტარში გადატეხილი ტაფა გაატანა. უნდოდა ქაფქირიც გაეტანებინა, მაგრამ თავისი საქციელისაგან შერცხვენილს ფეხი უკან რჩებოდა.

ზურა ფიჩხის კონებთან მივიდა. დაიკუზა, შეძვრა, დიდი წვალებით გამოიღო გატეხილი ქაფქირი და სოფლის თავში ასულ მირზას გამოექცა. ორღობეში დაეწია, ქაფქირი გადაუწოდა და ხმის კანკალით უთხრა:

— არ... არ... გააკეთებთ?

მირზამ ჭიროღა, მსხვილი თვალები მაღლიდან დაანათა ბიჭს. ჩამოართვა ქაფქირი და შეათვალიერა.

— სამი მანათი ეღირება, ზალიან კარგა გააკეთო!

ზურას ახლაღა გაახსენდა, რომ ფული იყო საჭირო. ხელი სტაცა ქაფქირს. შეეცადა უკანვე გამოერთმია.

— რა, სამი მანათი ზვირია? — ჩაიხითხითა მირზამ გაბარდულ წვერ-ულვაშში.

— არა, მაგრამ, აბა, ვის გამოვართვა? დაიწყებენ გამოძიებას, რად გინდაო, რისთვის თხოულობო.

მირზა ყველაფერს მიხვდა.

— ჰო, გისნობ, დიდი ეშმაკი ბიჩი ხარ, შენ გატეხე და დედას გეშინია, ხომ? არა უშავს რა, გააკეთებ! — მირზამ ტომარა მოიხსნა და გატეხილი ქაფქირი შიგ ჩააგდო.

* * *

მოუთმენლად ელოდა ზურა მირზას. ხშირად გახედავდა ვიწრო და გრძელ ორღობეს, რომლითაც მირზა სოფელში შემოვიდოდა ხოლმე. და აი, ერთ დღეს ალუბლებისა და ბროწეულის ბუჩქების მაღლა მირზას წოპწოპა ქუდი და კეტის წვერი გამოჩნდა. ზურა მისკენ გაიქცა.

— ზაან კარგი გააკეთე, ბიჩო, ზაან! — მოკალული და გამთელებული ქაფქირი ზურას დასანახად მაღლა შეათამაშა მირზამ.

ქაფქირი მართლაც კარგად იყო გაკეთებული, დაკვირვებული თვალიც ძნელად შეატყობდა დაკავშირებულ ადგილს.

— კარგია, ბიჩო?

— გმადლობთ, ძია მირზა, კარგია, არაფერიც არ ეტყობა, — გამოართვა ზურამ ქაფქირი, შინისაკენ გაიქცა, ისევ თავის ადგილზე ჩამოჰკიდა და კმაყოფილებით ჩაიცინა. გარეთ რომ გამოვიდა, მირზა ლეკი იქვე იყო. მეზობელი ქალი მოსაკალ ქვაბს აჩვენებდა. როცა მორიგდა, თავისებური ომახიანი ხმით გასძახა:

— ქვაბები მოვკალოთ!

უბნის ძაღლებმა ყური ცქვიტეს, გამოქანდნენ და ყეფა ასტეხეს.

— ჰაიტ, თქვე ოხრებო, რა გაღავღავებთ! — ქვას წამოავლო ზურამ ხელი და ყველაზე ახლო მოსულ ძაღლს ფეხში სდურბა. ძაღლი წკავწკავით წავიდა.

მირზამ მხარზე ხელი დაარტყა ზურას და სიცილით უთხრა:

— ყოჩაღ, ახლა კარგი ბიჩი ხარ!

ჯაჭვი აკრილოჯის ბაზრის ღრეს ღაიჯაღა

ამ სამი წლის წინ, როცა თბილისის 111-ე სკოლის კარები პირველად შეაღეს საბავშვო ბაღებიდან მოსულმა ბავშვებმა, მათ აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. სიხარული კიდევ უფრო გაიზარდა, როცა პატარების შესახვედრად მოსულმა მეხუთეკლასელებმა ყვავილების თაიგულები და ჩვენი მშობლიური თბილისის ფოტოსურათები მიუძღვნეს პირველკლასელებს. ის დღე გახდა დასაწყისი მათი მეგობრობისა, იმ დღეს გაუკეთეს პირველად პატარებს ოქტომბრელის ნიშნები და შეფობა იკისრეს მათზე. მეოთხერაზმელები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა პატარებს მოწყენილობა არ ეგრძნოთ. მრავალი ლექსი და სიმღერა შეასწავლეს მათ. პირველკლასელებს განსაკუთრებით მასიური თამაშობები მოეწონათ. „კატა-თაგვობანა“ და „ბატებო-ბატებო!“ საყვარელი გასართობი გახდა მათი.

გასულ სასწავლო წელს, საახალწლო ნაძვის ხის ზეიმზე საინტერესო პროგრამით გამოვიდნენ ოქტომბრელები. გენა კოლუგინმა „თეთრი ფიფქების“ სიმღერა წამოიწყო და დანარჩენებიც ხმაშეწყობილად წამოეშველნენ მას. სიმღერას ცეკვა მოჰყვა და კენწეროამდე სათამაშოებით დახუნძლული ნაძვის ხის ირგვლივ, თეთრ, ქათქათა კაბებში გამოწყობილი გოგონების წრე შეიკრა. ხარობდნენ ოქტომბრელები და კიდევ უფრო მათი შეფები — მეხუთეკლასელები.

მეოთხერაზმელების მუშაობამ ოქტომბრელებთან ნაყოფი გამოიღო, მაგრამ თვითონ შეფები?...

— ჰო, მაგრამ, ჩვენი მუშაობა ოქტომბრელებთან მარტო ცეკვებისა და სიმღერების შესწავლით ამოიწურება? — უსაყვედურეს თავიანთ თავს მეოთხერაზმელებმა და საგანგებოდ მოიწვიეს რაზმის საბჭოს სხდომა. დასხდნენ, ითათბირეს და გადაწყვიტეს, მომავალ კვირას ოქტომბრელები სალაშქროდ წაეყვანათ კუს ტბაზე.

დადგა ნანატრი დღეც. ამინდსაც დილიდანვე კარგი პირი უჩანდა. პიონერები და ოქტომბრელები ვაკის პარკს მიადგნენ. ბევრმა მათგანმა პირველად იხილა იგი. პარკის ვეებერთელა შადრევანთან შეისვენეს „მოლაშქრეებმა“ და მერე თრიალეთის ქედის ფერდობებს აჰყვნენ. გზადა გზა ხშირად ისვენებდნენ, — აბა პატარებს ხომ არ დაჰქანცავდნენ შეფები?

მზე შუბის ტარზე იყო, როცა მეოთხერაზმელებმა და ოქტომბრელებმა კუს ტბას მიაღწიეს. ო, როგორ გაიხარეს გოგონებმა, როცა ტბის ნაპირებზე უამრავი ყვავილი შენიშნეს. ვალენტინა ორეხოვსკაია და ვიოლეტა პირუმოვა გვირგვინების კეთებას შეუდგნენ. ბიჭებმა ანკესები გამართეს და თევზაობა გააჩაღეს. აგერ, ნოდარ ხუციშვილი. იგი სულგანაბული გასცქერის ტივტივას, ცოტაც და მის ირგვლივ ტალღების წრეები გაიშალნენ. ნოდარმა ანკესი მოზიდა, — აჰა, წამოეგე! — შესძახა გახარებულმა ბიჭუნამ და ჰაერში პატარა ვერცხლისფერი თევზი აფართხალდა...

— კარგი ყოფილა ლაშქრობა, — თქვეს ოქტომბრელებმა და იმ დღეს კმაყოფილები და შთაბეჭდილებებით სავსენი დაბრუნდნენ შინ.

გართობა-თამაშობანი და ლაშქრობებში სიარული რომ კარგი და სახალისოა, ეს ჩვენც ვიცითო, — თქვეს მეოთხერაზმელებმა და ახლა ყურადღება სწავლასა და სასარგებლო შრომაზე გაამახვილეს. უწინარეს ყოვლისა, კლასის დამრიგებლის ნებართვით თვალი გადაავლეს ოქტომბრელების საკლასო ჟურნალს. ამოიწერეს იმათი გვარები, ვინც სწავლაში მოისუსტებდა, და გაკვეთილების შემდეგ მათთან ერთად მეცადინეობდნენ. პატარა ვალიას ხელწერა არ უვარგოდა, სუფთა წერაში მოისუსტებდა. გენკა არითმეტიკაში კოჭლობდა. პიონერებმა აქაც იმარჯვეს, — ვალია ახლა სუფთად და ლამაზად წერს, გენკა კარგად ანგარიშობს და შეცდომებს აღარ უშვებს.

მუდამ ახლის ძიებაში იყვნენ მეოთხერაზმელები და სულ იმაზე ფიქრობდნენ თუ როგორ გაეუმჯობესებინათ თავიანთი მუშაობა ოქტომბრელებთან. აი, იმ დღესაც ბევრი იკამათეს და იმსჯელეს, როცა სკოლის

პიონერთა რიგებში ახლადმიღებულმა ბავშვებმა ყვავილებით შეამკეს დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ძეგლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერხელმძღვანელი ევგენია რომანოვსკაია წითელ ყელსახვევს უკეთებს გოგონას.

კანცელარიის კარებს მიადგნენ, გაუბედავად შევიდნენ შიგ და, რაკი საქმეთა მმართველის მოღიმარ სახეს წააწყდნენ, გათამამდნენ, სალტესავით შემოევლნენ მას და იმდენს ელაპარაკნენ, ვიდრე ოქტომბრელთა პირადი საქმეები არ გადმოაღებინეს, აღარ მოეშვნენ. შეფებმა შეუცდომლად გადმოიწერეს თავიანთი პატარა მეგობრების დაბადების თვეები და რიცხვები, შემდეგ მმართველს მადლობა გადაუხადეს და უკან გამობრუნდნენ. ოქტომბრელებს მიაშურეს.

— მოიცათ, ასე არ ივარგებს! — შეაჩერა თავისი თანატოლები რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ. — როგორც უკვე ვიცით, ზეგ შურკას დაბადების დღეა. ჰოდა, ჩვენც და მისი ამხანაგებიც ზეგისათვის ისე უნდა მოვემზადოთ, რომ ამის შესახებ თვითონ შურკამ ვერაფერი შეიტყოს.— ეს აზრი ყველას მოეწონა.

იმ დღეს ზოგმა ზღაპრებისა და მოთხრობების წიგნები, ზოგმა ფერადი ფანქრები და სახატავი რვეულები, ზოგმა კიდევ საკუთარი ხელით პლასტელინისაგან გამოძერწილი სხვადასხვა სათამაშოები მოიტანა სკოლაში და შურკას მერხზე დაალაგა.

სწავლის დაწყებას თხუთმეტი წუთი აკლდა, როცა შურკამაც შეაღო საკლასო ოთახის კარები და თავისი ადგილისაკენ გაემართა. ოქტომბრელები სულგანაბულნი ადევნებდნენ თვალს თავიანთ მეგობარს. აი, იგი მერხს მიუახლოვდა და საჩუქრების გვერდით დადებულ სუფთა თეთრ ქაღალდზე დამარცვლით ამოიკითხა: „გი-ლო-ცავთ და-ბა-დე-ბის დღეს!“. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა...

გადიოდა ხანი, იზრდებოდნენ ოქტომბრელები, ახლოვდებოდა პიონერთა რიგებში შესვლის დრო. მეოთხერაზმელებმა ახლა ამას მიაქციეს ყურადღება. დაიწყეს ოქტომბრელთა მომზადება პიონერთა რიგებში მისაღებად. მეოთხერაზმელები მთელი სერიოზულობითა და მონდომებით უხსნიდნენ და ასწავლიდნენ პატარა ოქტომბრელებს ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის მნიშვნელობას, პიონერული ორწლედის მიზანს, ესაუბრებოდნენ პიონერების სასახელო საქმეებზე, გმირ ლენინელებზე. და აი, მოსამზადებელმა პერიოდმაც გაიარა. დადგა 1961 წლის 17 ოქტომბერი. მთელი მსოფლიო მოუთმენლად ელოდა ამ თარიღს. ამ დღეს გაიხსნა და მუშაობა დაიწყო მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში, მშობლიური პარტიის XXII ყრილობამ. ამ დღეს მოუთმენლად ელოდნენ პატარა ოქტომბრელები და ეს გასაგებიცაა. ამ დღეს ღებულობდნენ მათ ნორჩ ლენინელთა რიგებში.

ლენინის მოედანზე, დიდი ბელადის ძეგლთან, საზეიმო დუმილში ისმენდნენ პატარა ოქტომბრელები მეოთხე რაზმის საბჭოს თავმჯდომარის ვალერი აგაპეტიანის პატაკს რაზმის მზადყოფნაზე პარტიის XXII ყრილობისადმი მიძღვნილი საზეიმო შეკრების ჩასატარებლად.

ძნელია იმ სიხარულის გადმოცემა, რასაც განიცდიდნენ ოქტომბრელები, როცა უფროსმა პიონერებმა ალისფერი ყელსახვევები გაუკეთეს მათ.

— „პიონერებო! კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად იყავით მზად!“ — გაისმა უფროსი პიონერხელმძღვანელის ევგენია რომანოვსკაიას მოწოდება და, „მზად ვართ!“ — მაშინვე მკვირცხლად და მტკიცედ უპასუხეს ნორჩმა ლენინელებმა. ასე შეიქმნა ყრილობის გახსნის დღეს კიდევ ერთი, ახალი, XI რაზმი ა. წერეთლის სახელობის პირველ რაზმეულში.

თ. სახაროვი.
ფოტო ავტორისა.

გივი აბრამიშვილი

ნახ. **დ. ხახუტაშვილისა**

მოთხრობა

ლევანი ადიდებულ მდინარეს მიადგა და შეჩერდა. ნაცრისფერი ზვირთების შმაგ დინებას გააყოლა თვალი. მთებიდან ჩამოტანილი ხმელი ფოთლების, დამპალი ტოტებისა და ფუტურო კუნძების მძაფრი სუნი შეიგრძნო. „მთებში წვიმები ყოფილა“, — გაიფიქრა და ნაპირებზე გარიყული ხერგი მოათვალიერა.

წყალი ზარიანი ხმით მოექანებოდა.

გაღმა ბარის ფერდობზე შეფენილ სოფელს გახედა. იქ ეგულებოდა მშობლები, ნათესავები, მეზობლები. რა ხანია, არ ენახა ისინი.

ლოდზე ჩამოჯდა. გაურკვეველი ხმაური შემოესმა და მიმოიხედა. ვერავინ დაინახა. მერე წამოდგა, თვალებზე ხელი მოიჩრდილა და ჩამავალი მზის სხივთა ბრდღვიალში სამიოდე ლანდი გაარჩია. მოდიოდნენ, ცელქობდნენ, ერთმანეთს ეჭიდებოდნენ. „ისინი იქნებიან“, — გაიფიქრა და ისევ დაჯდა. მართლაც, მისი სოფლელი ბიჭები გამოდგნენ: ვაჟა, შოთა, ნოდარი. მათ მოსვლაზე შემკრთალივით წამოდგა და გაიღიმა.

— რა ვქნათ? — იკითხა ნოდარმა.

— მოვიცადოთ, — უპასუხა შოთამ.

— გამოივლის რაღაცა და გავყვებით, — თქვა ლევანმა.

— ჩვენი კოლმეურნეობის სატვირთო მანქანები უნდა წამოსულიყვნენ, — ჩაილაპარაკა ვაჟამ, მერე ლევანს შეხედა, გაიღიმა და დაუმატა: — დიდხანს რაღაზე ვიცადოთ, სარიყლაპიავ! აგვიკუზე და სათითაოდ გაგვიყვანე.

ლევანმა მყისვე შუბლი შეიკრა და ქილიკა ამხანაგს შეუბღვირა.

— მართლა, ჰო, გაგვიყვანე; მაღალი ხარ, წყალი წვივებამდისაც ვერ შემოგწვდება.

— მე რა, დასახრჩობი თავი მაქვს?

ნოდარი მეტისმეტად მაღალსა და წოწლოკინა ლევანს აკვირდება და ეკითხება:

— სარიყლაპია ვინ დაგარქვა, ლეო?

— რა ვიცი...

ლეო, გეცოდინება ცაში რა ამბავია, პლანეტებზე რა ხდება... — დამცინავად ეუბნება ვაჟა.

— კარგი ახლა, ნუ დაიწყებ!

— ვაჟა, ნუ იცი ხოლმე ახირება! — უწყრება ნოდარი.

— არც მე მომწონს შენი საქციელი! — ბუზღუნებს შოთა, — ჩვენც არ მოგვეშვი გზაში, ახლა კიდევ...

ლევანმა ვაჟას ზურგი შეაქცია და კვლავ სოფელს გახედა.

ვაჟა ჯერ დაწყნარდა, რატომღაც დაფიქრდა, მერე თითქოს ბურანიდან გამოერკვაო, ლევანს შეხედა, გაიღიმა, ისევ სიცილი აუვარდა და შესძახა:

— სარიყლაპია, ვუუ!..

ლევანი მაშინვე მობრუნდა. ვაჟამ მოკურცხლა.

— რა უნდა ვუყო, მაგ გიჟს!..

— დაანებე თავი, ნუ აჰყვები.

— სარიყლაპია, ვუუ!..

— ოხ, შე!.. — წამოიძახა და ის იყო უნდა გამოჰკიდებოდა, — ბიჭებმა დაიჭირეს.

— თავი გაანებე, სულელია...

— ხომ გაგიგონია: გიჟი მიუშვი ნებასაო...

— რას ამიტყდა, რა უნდა ჩემგან!..

— რა და... — სიტყვები ვეღარ მოძებნა ნოდარმა.

— მაიმუნობა, ღლაბუცი! — თქვა შოთამ.

გულმოსული ლევანი შედგა. „რა ვუყო, ვცემო?.. სკოლის ამხანაგია, თანასოფლელი, — გაიფიქრა მან, — არა და რა ვქნა, მოთმენაც აღარ შემიძლია“.

— უჰ, რამდენი ვიცინე, ვაი, დავიღალე. მიყვარს მაგისი გაბრაზება. ლეო, მოდი შევრიგდეთ, — თქვა ვაჟამ და ღრეჯით ახლოს მივიდა.

— თავი დამანებე!

— რას მიწყრები, შე სარიყლაპიავ! აყლარწულხარ მაგხელა და ხუმრობასაც ვერ ითმენ. შევრიგდეთ-მეთქი, რა იყო, რა მოხდა! — წამოიძახა და შეუკავებელი სიცილი აუვარდა.



ლევანი უარესად გაბრაზდა და ვაჟას ისე გააფთრებით გამოეკიდა, ბიჭებს ეგონათ: ეგ არის, ახლა კი მოკლავსო.

მირბის ვაჟა და მისდევს ლევანი. ლევანმა წინიდან უყეელა. ვაჟა უეცრად მოტრიალდა და ის იყო უნდა მობრუნებულიყო, რომ ბექი მოენგრა და წყალში ჩავარდა. მღვრიე, მოდგაფუნე ტალღებმა ბელტებთან და მოშვავებულ ქვიშასთან ერთად ისე შთანთქა, დაყვირებაც ვერ მოასწრო.

ბიჭებმა დაინახეს თუ არა ეს, გულგახეთქილები გამოიქცნენ.

ლევანი უეცრად შედგა. ამ ადგილს თვალები ჩააშტერა. მზერა ტალღებს გააყოლა და მდინარეს ნაპირ-ნაპირ ჩქარი ნაბიჯით დაუყვა.

შოთამ და ნოდარმა შეძრწუნებულებმა მოირბინეს.

ლევანმა პიჯაკი გაიძრო და წყალში ჩახტა. ტალღებში ისარივით ჩაესო. წყალი ყრუდ ადგაფუნდა. მომსკდარმა ტალღამ ლევანი წააბარბაცა, ჩაიყურყუმელავა და ისიც უკვალოდ გაქრა.

ბიჭებმა დაიღრიალეს, თმებში ხელი წაივლეს და ტალღებს თვალი უმიზეზოდ გააყოლეს.

ლევანმა მთელ სხეულზე მსუსხავი სიცივე იგრძნო. პირში შლამიანი წყალი შეუვიდა... ამ წუთებში სულ დაავიწყდა ვაჟა. მხოლოდ იმას-ღა ცდილობდა, წყლის დინებას აჰყოლოდა და როგორმე წამომდგარიყო. ხელები მოუსვა. მაგრამ ცურვა ძალიან გაუჭირდა. სველი ტანსაცმელი მოძრაობას უშლიდა მაინც ამოცურდა. ბიჭებმა მოჰკრეს თუ არა თვალი ნაცრისფერ ტალღებში შავ ლაქასავით ამოჩენილ ხუჭუჭთმიან თავს, შვებით ამოისუნთქეს და იქითკენ გაეშურნენ. წუთიც და, ლევანი უკვე ფეხზე იდგა. ზვირთები წელამდი სცემდა, წყლის დინების მიმართულებით მიექანებოდა.

— აქეთ, ლევან, აქეთ! — უყვიროდნენ ისინი.

ლევანს მათი არ ესმოდა. ტალღების შხუილით სმენადახშულს არაფრის გაგება არ შეეძლო. წყალდაწყალ მიდიოდა, გეზს თანდათან ნაპირისაკენ იღებდა.

უცებ ფეხი რაღაც რბილსა და მოთელილს წამოსდო და წაიფორხილა. ერთბაშად გამოცოცხლდა, დაიღუნა, რაღაც მოსინჯა, დასწვდა და რის ვაივაგლახით ამოათრია. ვაჟა იყო, თვალები დაჭყეტილი ჰქონდა, კბილები დაკრეჭილი და ტალკივით გაბერილიყო. ხელში აიყვანა და ნაპირისაკენ წავიდა ბორძიკით.

ნოდარსა და შოთას გულები აუჩუყდათ და ატირდნენ.

ლევანმა დამხრჩვალი მშრალზე გაიყვანა და ფრთხილად დააწვინა. მთელი ტანით ძაგძაგებდა, ვაჟას უსიცოცხლო სახეს გაფითრებული დასცქეროდა. მაჯაზე ხელი უნებურად წაავლო.

— ნახეთ! — წამოიძახა მან, — შეიძლება რაღაც მოხერხდეს!..

შოთამ და ნოდარმა სლუკუნი შეწყვიტეს, მაჯა გაუსინჯეს. ოდნავ შესამჩნევად ფეთქავდა.

ფეხებით ასწიეს და თავდაყირა დაჰკიდეს. მძლავრად დაიქნიეს. ცოცხალმკვდარს პირიდან მღვრიე წყალი წასკდა. ნოდარმა ვაჟას შუბლზე ხელი შემოსდო და თავი მოხერხებულად დაუჭირა.

— ნეტავი გადარჩებოდეს!..

— ნუ გეშინიათ! — თქვა ლევანმა, თუმცა დანამდვილებით თვითონაც არ იცოდა, გადარჩებოდა თუ არა.

წყლის ჩქერალი ღია პირიდან ჩხრიალით გადმოსდიოდა ვაჟას და გაბერილი მუცელი თანდათან ეშვებოდა.

როცა წყლის დენა შეწყდა, მოლზე გულაღმა დააწვინეს და ხელოვნური სუნთქვა დააწყებინეს. შოთა თავს ადგა და ხელებს უმოძრავებდა. ლევანი და ნოდარი კი, ფეხებს ხან მოუღუნავდნენ, ხან გაუშლიდნენ. ბოლოს შეატყვეს, რომ სხეული გაუთბა, მაჯისცემაც უფრო შესამჩნევი გაუხდა. თვალებს მღვრიე ფერი თანდათან დაეწმინდა. გამოცოცხლების ამ ნიშანწყალმა გაამხნევა ბიჭები. დროდადრო ჩასძახოდნენ:

— ვაჟა!

— ვაჟა, ბიჭო!..

ვაჟას ღაწვისთავები შეუფაკლდა, თვალის უპეები დაეხურა, ზოგჯერ, მისი ხელ-ფეხის მოძრაობისას, თითქოს წინააღმდეგობასაც კი უწევდა ბიჭებს.

ვაჟამ პირი გააღო, ახრიალდა, რაღაც გაურკვეველი ბგერები წამოიძახა.

— ვაჟა, შენ გენაცვალე, ვაჟა! — ჩასძახოდა ნოდარი.

— თქვი რამე, ბიჭო, თქვი! ხმა ამოიღე!.. — ეხვეწებოდა შოთა.

— თავი დამა...ნებე....ბე...ეთ, — ამოილუღლუღა ბოლოს.

— თავი დაგანებოთ კი არა, ის არ გინდა?!. — წამოიძახა გახარებულმა ლევანმა.

ვაჟამ თვალები გაახილა, ლევანს შეხედა და ისევ მილულა.

— ამას მეტი აღარაფერი უნდა. წამოვაყენოთ, მხრებში შევუდგეთ და ნელ-ნელა ვატაროთ. მეც ვერ ვარ კარგად, მცივა, სახსრებში მამტვრევს, — თქვა ლევანმა.

ვაჟა წამოაყენეს, ძლივს გადაადგმევინეს ნაბიჯი. მუხლები მოშვებული ჰქონდა. ფეხებს ძლივს ადგამდა.



პიონერული ოქტომბერი

ფოტო გ. ზაუტაშვილის.

თბილისის 49-ე სკოლის პიონერები ორწლედის პირველი წლის დამთავრებისადმი მიძღვნილ საზეიმო ხაზზე.

სასიხარულო ცნობები

ორ ოქტომბერს ჩვენს თვალუწვდენელ სამშობლოში ერთ პიონერულ ხაზად გაიჭიმა ნორჩ ლენინელთა 17 მილიონიანი არმია. ერთი იყო მათი ფიქრი და ოცნება— მუდამ ხალხთან, კომკავშირელებთან და კომუნისტებთან ერთად მზად იყონ საზოგადო-სასარგებლო საქმის შესასრულებლად.

რაზმეულებსა და რაზმებში გაისმა პატაკი მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისადმი, იმაზე, თუ როგორი წარმატებით შესრულდა პიონერული ორწლედის პირველი წლის ვალდებულებანი, რა შრომითი საჩუქრები უძღვნეს ნორჩმა ლენინელებმა ყრილობას.

პატაკობდა თბილისის 49-ე სკოლის რაზმეულიც, პატაკობდა არა მარტო სიტყვით, საქმითაც. პიონერული ორწლედის მეორე წლის დასაწყისის აღსანიშნავად მათ ერთ დღეში 5 ტონა ლითონის ჯართი შეაგროვეს.

პიონერული ორწლედის პირველი წლის ანგარიშში კი მათ 50 ტონა ლითონის ჯართი ჩააბარეს სამშობლოს მეგობრობის ნავთობსადენის მშენებლობისათვის.

იმავე დღეს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა სასახლის წინ გაიმართა ქალაქის პიონერული აქტივის «ხაზი», რომელზეც შეჯამდა ქალაქის სკოლების პიონერთა საქმიანობა ორწლედის პირველი წლის განმავლობაში.

* * *

მოვკრიფეთ 7 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი. 11 პიონერი უვლიდა აბრეშუმის მურს. ჩაბარებული იქნა 120 კგ. აბრეშუმის პარკი. პიონერმა იამზე რუსეიშვილმა 500 კგ. ჩაის ფოთოლი მოკრიფა და ამასთანავე 34 კგ. აბრეშუმის პარკი ჩააბარა. ჩაის კრეფაში თავი ისახელეს პიონერებმა: გულნარა ბაჯელიძემ, ერგული გობრონიძემ და ნათელა გოგიტიძემ. თითოეულს მოკრეფილი აქვს 500-700 კგ. ჩაის ფოთოლი.

მერიის საშუალო სკოლის
პავლიკ მოროზოვის სახელობის პიონერული საბჭო.

* * *

რაიონის პიონერებმა ორწლედის პირველ წელს მოკრიფეს 1537 კგ. ასკილის ნაყოფი.

შეიქმნა მოსწავლეთა 19 საწარმოო ბრიგადა და 48 რგოლი, რომლებშიც გაერთიანდა 1609 პიონერი. მათ გამოიმუშავეს 4500 შრომადღე.

შეშის დახერხვაზე დაზოგილია 1500 მან,

სსრკ ტურისტის ნიშანზე მომზადდა 50 პიონერი.

დარგულია 100.000 ძირი მწვანე ნარგავი.

ქალაქის პარკში დარგულია 2.000 ძირი სხვადასხვა ჯიშის ვარდი.

გურჯაანის პიონერული რაიონული საბჭო.

* * *

ორწლიანი გეგმის პირველ წელს სამტრედიელმა პიონერებმა შეაგროვეს და საახელმწიფოს ჩააბარეს 170 ტონა შავი და ფერადი ლითონის ჯართი, 11.000 ცალი შუშის ტარა, გამოიყვანეს 50 ათასი ცალი შეხავსებული ჩაის კოშტი, მოკრიფეს 12 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, კოლმეურნეობებს გამოუზარდეს 800 ფრთა ფრინველი, გამოკვებეს 1600 გრ. აბრეშუმის მური.

სამტრედიის პიონერული რაიონული საბჭო.

* * *

რაიონის ყველა რაზმეულში შექმნილია ლენინის კუთხე: პიონერების მიერ შეგროვდა 40 ტონა შავი ლითონის ჯართი. ეზოებში დარგეს 60 ათასი ძირი ხე.

ჩვენი რაიონის ექვს სკოლაში მოაშენეს. 3.000 ფრთა ფრინველი. სახელმწიფოს ჩაბარდა 550 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. შეგროვდა იმდენი მაკულატურა, რომ მისი გადამუშავებით მიღებული ქაღალდით რაიონული გაზეთი «ავანგარდი» 1962 წლამდე უზრუნველყოფილია.

ცხაკაიას პიონერული რაიონული საბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის 49-ე სკოლის პიონერებმა ორწლედის მეორე წლის პირველ დღეს 5 ტონა ლითონის ჯართი შეაგროვეს.

* * *

რაიონში მზადდება 261 პიონერ-ინსტრუქტორი, 598 ნორჩი ტურისტი, 120 ნორჩი ტექნიკოსი, 617 ნორჩი ნატურალისტი. შექმნილია ლენინის 18 კუთხე და 10 სტენდი. შეგროვილია 38 ტონა ჯართი. პიონერებმა მოკრიფეს 4335 კგ. ვარდი, შეაგროვეს 3260 ბოთლი. გამოზარდეს 151 კურდღელი, 85 ქათამი, 87 მტრედი. გამოკვებეს 69 გრ. აბრეშუმის მური. დარგეს 4516 ძირი კაკლის, თუთის და წაბლის ნერგები. პიონერებმა მოკრიფეს 130 ტ. ყურძენი.

ყვარლის პიონერული რაიონული საბჭო.

* * *

დაბა ვალეს სკოლაში პიონერების მიერ შექმნილია ფერმა, სადაც პიონერებმა მოაშენეს 50 მტრედი, 100 კურდღელი, ქათმები, ბატები და სხვ.

ჰყავთ ფუტკრის 3 ოჯახი.

ახალციხის პიონერული რაიონული საბჭო.

* * *

რაიონში მომზადდა 165 პიონერ-ინსტრუქტორი. სახელმწიფოს ჩაბარდა 1900 კგ. აბრეშუმის პარკი. უვლიან 18 ფუტკრის ოჯახს. პიონერ-მოსწავლეებმა დაამუშავეს 450 ჰექტარი სიმინდის ფართობი.

ბორის რაიონის პიონერული რაზმეულის საბჭო.

* * *

წელს რაიონში მუშაობდა პიონერთა 47 საწარმოო ბრიგადა და 13 რგოლი. მათ მოსავლელად გაპიროვნებული ჰქონდათ 45 ჰექტარი სიმინდის ყანა, 15 ჰექტარი ბოსტანი, 1,5 ჰექტარი ვენახი და 3 ჰექტარი ხეხილის ბაღი.

პიონერებმა კოლმეურნეობებისათვის ჩადეს 500 ტონა სილოსი და დაამზადეს 15 ათასი ცენტნერი თივა.

დუშეთის პიონერული რაიონული საბჭო

ეპეპაცი პიონერები

* * *

ზაფხულის მზიანი დღე იყო.

სიცხისაგან შეწუხებულ ბავშვებს საბანაოდ თავი მოეყარათ ალაზნის არხთან.

მეექვსე კლასის მოსწავლე გოდერძი გურგენიშვილი ბანაობის დროს წყალმა გაიტაცა, ბაშვებმა ყვირილი ასტეხეს. დაიბნენ, არ იცოდნენ როგორ მიშველებოდნენ ამხანაგს. მხოლოდ მერვე კლასის მოსწავლე ივანე ფარსადანოვი არ დაიბნა, ისკუპა წყალში, გასცურა გოდერძისაკენ და ამხანაგი დახრჩობას გადაარჩინა.

თინა ზიოშვილი,
ნელი მიჩიტაშვილი,

გურჯაანის რაიონის სოფ. ველისციხის საშ. სკოლის მეშვიდეკლასელები.

* * *

გზაზე მიმავალ ორ პიონერს ბავშვის განწირული ყვირილი შემოესმათ. ბიჭები შედგნენ და ყური მიუგდეს. ჩანდა, მდინარის მხრიდან მოდიოდა ხმა და იმ მიმართულებით გაიქცნენ. როცა მიუახლოვდნენ მდინარეს, ნახეს, იგი ადიდებულიყო და ნაპირები წაელეკა. ახლა უფრო გარკვევით ისმოდა ბავშვის კივილი მიდნარის შუა გულიდან. ზაზა სულაძემ სასწრაფოდ ტანთ გაიძრო და მდინარეში გადაეშვა, იმავ წამს მას რამაზ მაზმიშვილიც მიყვა...

მდინარესთან ბრძოლა ძნელი იყო, მაგრამ გულადი პიონერები შეუსვენებლივ მიიწევდნენ წინ. მალე მათ დაინახეს პატარა ბავშვი, რომელსაც უეჭველი დაღუპვა ელოდა.

პიონერებმა დიდის წვალებით ნაპირზე გამოიყვანეს და გადაარჩინეს 5 წლის ლია ოქრუაშვილი.

დალი მაზმიშვილი,

დირბის საშ. სკოლის VII კლასის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიქტორ დრაგუნსკი

ნახ. ჯ. ლოლუასი

ჯადუ მალიუკილის სიკვლილი

თურმე ჩემს ავადმყოფობაში გარეთ ამინდი სულ დამთბარიყო და უკანასკნელ არდადეგებამდე ორი თუ სამი დღე დარჩენილიყო. როცა სკოლაში მივედი, ბავშვებმა დაიყვირეს:

— დენისკა მოვიდა, ვაშაა!

მეც ძალიან გამეხარდა, რომ მივედი და ჩვენი ბავშვები უკლებლივ თავთავის ადგილზე ისხდნენ: კატია ტოჩინინაც, მიშკაც, ვალერკაც. ყვავილებიანი ქოთნებიცა და პრიალა დაფაც წინანდებურად იდგა, რაისა ივანოვნაც მხიარულად გამოიყურებოდა. ჰოდა, ყველაფერი, ყველაფერი ისე იყო, როგორც ყოველთვის. შესვენებაზე ბავშვები ერთად დავდიოდით და ვიცინოდით. მერე, უცებ, მიშკამ სერიოზული გამომეტყველებით წარმოთქვა:

— ჩვენთან საგაზაფხულო კონცერტი ეწყობა!

— ნუთუ მართლა? — ვკითხე მე.

— დიახ! სცენაზე გამოვალთ. მეოთხე კლასის მოსწავლეებიც წარმოადგენენ თავიანთ დადგმას. პიესა თვითონვე შეთხზეს. საინტერესოა! — მიპასუხა მან.

— შენც გამოხვალ, მიშკა? — ვკითხე მე.

— გაიზრდები — გაიგებ! — მომიგო მან.

მოუთმენლად დავუწყე კონცერტს ლოდინი. ყველაფერი ეს შინ დედას ვუამბე და შემდეგ დავძინე:

— მეც მინდა გამოსვლა...

დედას გაეღიმა და მითხრა:

— მერედა შენ რის გაკეთება შეგიძლია?

— როგორ, დედა? ნუთუ არ იცი, რომ ხმამაღლა სიმღერა შემიძლია? მე ხომ კარგად ვმღერი? შენ იმას ნუ უყურებ, რომ სიმღერაში სამიანი მაქვს. მაინც კარგად ვმღერი.

დედამ კარადა გამოაღო და თქვა:

— სხვა დროს იმღერე, შვილო. შენ ხომ ავად იყავი... ამ კონცერტზე შენ იქნები მაყურებელი! — იგი კარადის კარებს მოშორდა. — იცი, რა სასიამოვნოა მაყურებლობა! ზიხარ და უცქერი, როგორ გამოდიან მსახიობები... დიდებულია! მეორეჯერ შენ იქნები მსახიობი, ისინი კი, ვინც უკვე გამოვიდნენ, —მაყურებლები. კარგი?

— კეთილი. მაშ, მაყურებელი ვიქნები. — მივუგე მე.

ჰოდა, მეორე დღეს წავედი კონცერტზე. დედა ვერ წამომყვა, იგი ინსტიტუტში მორიგეობდა, მამაც სწორედ მაშინ გაემგზავრა ურალის რომელიღაც ქარხანაში და მე კონცერტზე მარტო წავედი.

ჩვენს დიდ დარბაზში სკამები დაედგათ, სცენა მოეწყოთ და ფარდა ჩამოეკიდებიათ. დაბლა როიალთან ბორის სერგეევიჩი იჯდა. ჩვენც დავსხედით. კედლებთან ჩვენი კლასის ბებიები დამდგარიყვნენ. მე დაწყებამდე ვაშლს ვკბეჩდი.

უცებ ფარდა გაიხსნა და სცენაზე ჩვენი ოქტომბრელთა ხელმძღვანელი ლუსია გამოცხადდა. მან ხმამაღლა, რადიოსავით, წარმოთქვა:

— ვიწყებთ ჩვენს საგაზაფხულო კონცერტს! პირველი „ბ“ კლასის მოსწავლე მიშა სლონოვი წაგვიკითხავს საკუთარ ლექსს! გთხოვთ!

ტაში დაუკრეს და სცენაზე მიშა გამოვიდა. იგი საკმაოდ გაბედულად გამოვიდა შუა სცენამდე და შეჩერდა. ასე იდგა ცოტა ხანს, მერე უკან დაიწყო ხელები. ისევ შეჩერდა. შემდეგ მარცხენა ფეხი წინ გადმოდგა. ბავშვები სულგანაბული ისხდნენ და მიშას შესცქეროდნენ. მან უცებ მარცხენა ფეხი უკან წაიღო და მარჯვენა გადმოდგა წინ. ყველა დუმდა. შემდეგ მიშამ კვლავ შესცვალა მარჯვენა ფეხი მარცხენით, მერე მარცხენა მარჯვენით. და უცებ ხველა აუტყდა:

— ეხმ! ეხმ! ეხმ!

— რა მოგვივიდა, მიშა, ნერწყვი გადაგცდა? — დავუძახე მე.

მან უცნობივით გადმომხედა, შემდეგ ჰერს მიაბჯინა თვალები და დაიწყო:

გაივლის დრო და მოვა სიბერე!
სახეს ნაოჭი დაფარავს!
გისურვებთ შემოქმედებით
წინსვლას და მუდამ კარგ
სწავლას!

შემდეგ მიშამ თავი დახარა და სცენიდან გავიდა. ყველამ მაგრად დაუკრა ტაში, რადგან, ჯერ ერთი, ლექსი იყო ძალიან კარგი, მეორეც, თქვენ წარმოიდგინეთ, თვითონ მიშამ შეთხზა! პირდაპირ ვაჟკაცია!

მერე კვლავ ლუსია გამოვიდა და გამოაცხადა:

— ახლა მოვუსმინოთ პირველი „ბ“ კლასის მოსწავლეს ვალერი ტაგიკოვს!

კიდევ უფრო ძლიერად დაუკრეს ტაში. ლუსიამ სცენის შუაში დადგა სკამი. გამოვიდა ვალერკა თავის აკორდეონით და სკამზე დაჯდა, აკორდეონის ჩემოდანი კი ფეხქვეშ დაიდვა, რომ ფეხებს ჰაერში არ დაეწყოთ რწევა. დაჯდა თუ არა, დაუკრა ვალსი „ამურის ტალღები“. ყველა უსმენდა, მეც ვუსმენდი და სულ ვფიქრობდი: როგორ ახერხებს-მეთქი ეს ვალერიკა თითებით ასე სწრაფ მოძრაობას? მეც დავიწყე თითების ჩქარი მოძრაობა ჰაერში, მაგრამ ვალერკას ვერ დავეწიე. ბებიამისი კი გვერდით, კედელთან იდგა და ნელ-

ნელა დირიჟორობდა, როცა ვალერკა უკრავდა. ისიც კარგად უკრავდა, ხმამაღლა. ძალიან მომეწონა. მაგრამ უცებ ერთ ადგილას შეეშალა, თითები გაუჩერდა. ვალერკა ცოტათი გაწითლდა, მაგრამ კვლავ აამოძრავა თითები, ვითომ გასაქცევად მოამზადაო. მაგრამ ჩაირბინეს თუ არა თითებმა რომელიღაც ადგილამდე, ისევ შეჩერდნენ, თითქოს წაიბორძიკეს. უცებ ვალერკას ბებია წამოდგა წინ და წამოიმღერა:

„ვერცხლივით ბრწყინავს
ტალღები,
ვერცხლივით ბრწყინავს
ტალღები...“

ვალერკასაც მყისვე გაახსენდა და თითები, თითქოს მოუხერხებელ საფეხურს გადაახტნენო, ბოლომდე სწრაფად და მოხდენილად რბოდნენ კლავიშებზე. დასასრულს ყველამ მაგრად დაუკრა ტაში! ბებიამისი კი „ბის“-ო გაჰყვიროდა.

ამის შემდეგ სცენაზე პირველი „ა“ კლასის ექვსი გოგონა და პირველი „ბ“ კლასის ექვსი ბიჭი გამოხტა. გოგონებს თმებზე სხვადასხვაფერის ლენტი ეკეთათ, ბიჭებს კი თავზე არაფერი არ ჰქონდათ. მათ გოპაკის ცეკვა დაიწყეს და ისე აბაკუნებდნენ ფეხებს, რომ სცენაზე მტვრის სვეტები აღიმართა და მე ორჯერ დამაცემინა ცხვირი. სცენაზე ლუსია გამოვიდა და გამოაცხადა:



— თხუთმეტი წუთით შესვენება! შესვენების შემდეგ მეოთხე კლასის მოსწავლეები წარმოადგენენ პიესას, რომელიც მთელმა კოლექტივმა შეთხზა და ეწოდება: „ძაღლი ძაღლურად ჩაკვდება“.

დარბაზში სკამები ამოძრავდა და ხალხი მიმოიფანტა. მე კი ჯიბიდან ჩემი დაკბეჩილი ვაშლი ამოვიღე და ჭამა დავიწყე. ოქტომბრელთა ხელმძღვანელი ლუსია ჩემს გვერდით იდგა. უცებ მასთან მიიჭრა საკმაოდ მაღალი წითური გოგო და უთხრა:

— ლუსია, წარმოგიდგენიათ, ეგროვი არ გამოცხადდა!

ლუსიამ ტაში შემოჰკრა:

— წარმოუდგენელია! რა უნდა ვქნათ? ვინ დარეკავს და ვინ ისვრის?

— ახლავე უნდა მოვძებნოთ ვინმე საზრიანი ბიჭი და ვასწავლოთ, როგორ უნდა იმოქმედოს! — უპასუხა გოგომ.

მაშინ ლუსიამ აქეთ-იქით დაიწყო ცქერა და მე შემნიშნა. უცებ გაუხარდა.

— აი, დენისკა! — წამოიძახა მან. — ვინ იქნება უკეთესი? ეს ბოგვეხმარება. დენისკა, მოდი აქ!

მე მათ მივუახლოვდი. წითურმა გოგომ შემომხედა და წარმოთქვა:

— ჰო, მაგრამ, არის ვითომ საზრიანი ბიჭი?

— მგონი, კი! — მიუგო ლუსიამ.

— პირველი შეხედვით არ ეტყობა! — უთხრა წითურმა გოგომ.

— შეგიძლია მშვიდად იყო, — ვუთხარი მე, — საზრიანი გახლავარ!

უცებ ორივეს გაეცინა და წითურმა გოგომ სცენაზე ამიყვანა.

იქ მეოთხეკლასელი ბიჭი იდგა, რომელიც შავ კოსტუმში გამოწყობილიყო და თმაზე დაფხვნილი ცარცი გადაეყარა, ვითომ ჭაღარააო, ხელში კი პისტოლეტი ეჭირა; გვერდით მეორე ბიჭი ედგა, ისიც მეოთხეკლასელი, რომელიც თითქოს წვერებზე იყო მიკრული, ცხვირზე ლურჯი სათვალე ეკეთა და ტანზე საყელოაფშეკილი მუშამბის ლაბადა ეცვა.

იქვე იყვნენ სხვა გოგო-ბიჭებიც, ზოგს პორთფელი ეჭირა ხელში და ზოგს რა. ერთ თავსაფარწაკრულ, ხალათიან გოგოს კი ცოცხი ეკავა.

მე, როგორც კი დავუნახე შავკოსტუმიან ბიჭს ხელში პისტოლეტი, მაშინვე ვკითხე:

— ნამდვილია? ვალტერია თუ ბრაუნინგი? — მაგრამ წითურმა გოგომ შემაწყვეტინა: — გესმის, დენისკა, — მითხრა მან, — შენ უნდა მოგვეხმარო. დადექი გვერდით და სცენაზე იცქირე. როცა ეს ბიჭი იტყვის: „ამას შენ ჩემგან ვერ მიიღებ, მოქალაქე გადიუკინ!“ — შენ მყისვე დარეკავ ამ ზარს. მიხვდი?

და ველოსიპედის ზარი გამომიწოდა. მე გამოვართვი.

— დარეკავ ისე, ვითომც ტელეფონია, — მითხრა გოგომ, — ეს ბიჭი კი აიღებს ყურმილს, ტელეფონით დაილაპარაკებს და გავა სცენიდან. შენ იდექ და ჩუმათ იყავი. გაიგე?

— გავიგე, გავიგე! — მივუგე მე, — რა არის აქ გაუგებარი? მაგრამ იმ ბიჭს ნამდვილი პისტოლეტი აქვს? პარაბელუმია, თუ როგორი?

— დამაცა ერთი, ნუ გამიჭირე საქმე შენი პისტოლეტით! საქმეც იმაშია, რომ ნამდვილი არ არის! მისმინე: შენ უნდა გაისროლო აქ, სცენის აქეთ. როცა ეს წვერებიანი მარტო დარჩება, მაგიდიდან აიღებს საქაღალდეს და ფანჯრისაკენ გაიქცევა, ხოლო ეს შავკოსტუმიანი ბიჭი დაუმიზნებს, მაშინ შენ ამ ფიცარს მთელის ძალ-ღონით დაჰკრავ სკამზე. აი ასე, ოღონდ ბევრად უფრო ძლიერ.

და წითურმა გოგომ ფიცარი სკამზე დაახეთქა. ზორბად გამოვიდა, როგორც ნამდვილი გასროლა. მომეწონა.

— ყოჩაღ! — ვუთხარი მე. — მერე?

— ესაა და ეს, — მითხრა გოგომ, — თუ გაიგე, გაიმეორე!

მე ყველაფერი სიტყვასიტყვით გავიმეორე.

— იცოდე, არ დაგვღუპო, — მითხრა მან.

— არხეინად იყავით, არ დაგღუპავთ! — ვუპასუხე მე.

და მაშინვე დაირეკა სკოლის ზარი, როგორც გაკვეთილზე.

მე ველოსიპედის ზარი რადიატორზე დავდეი, ფიცარი სკამზე მივაყუდე და ფარდის ჭუჭრუტანაში დავიწყე ცქერა. დავინახე, თუ როგორ მოვიდნენ რაისა ივანოვნა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუსია, როგორ დასხდნენ ბავშვები, როგორ დადგნენ კედლებთან ბებიები, უკან როგორ აიჩხორა სკამზე ვიღაცის თავისუფალი მამიკო და სცენას ფოტოაპარატი მიაშვირა. გაცილებით უფრო საინტერესო იყო აქედან იქით ცქერა, ვინემ იქიდან აქეთ. თანდათანობით წყნარდებოდა ხალხი. გოგო, რომელმაც მე მომიყვანა, სცენის მეორე მხარეს გაიქცა და თოკი მოსწია. ფარდა გაიხსნა და ის გოგო დარბაზში ჩახტა. სცენაზე იდგა მაგიდა, რომელსაც შავკოსტუმიანი ბიჭი მისჯდომოდა, და მე ვიცოდი, რომ მას ჯიბეში პისტოლეტი ედო. მის წინ წვერებიანი ბიჭი დადიოდა. მან ჯერ უამბო, რომ იგი დიდხანს ცხოვრობდა საზღვარგარეთ და ახლა კვლავ დაბრუნდა. მერე მომაბეზრებელი ხმით დაუწყო გულის გამწყალებელი თხოვნა, რომ შავკოსტუმიან ბიჭს აეროდრომის გეგმა ეჩვენებინა.

მაგრამ შავკოსტუმიანმა მიუგო:

— ამას თქვენ ჩემგან ვერ მიიღებთ, მოქალაქე გადიუკინ!

მაშინ მყისვე გამახსენდა ზარი და ხელი რადიატორისაკენ წავიღე, მაგრამ ზარი ადგილზე არ იყო. ვიფიქრე იატაკზე დავარდა-მეთქი, დავიხარე და ძებნა დავუწყე. მაგრამ იატაკზედაც არ აღმოჩნდა. მთლად გავშტერდი. მერე სცენისაკენ გავიხედე. იქ სამარისებური სიჩუმე დამყარებულიყო. შემდეგ შავკოსტუმიანი ბიჭი დაფიქრდა და ხელმეორედ წარმოთქვა:

— დიახ, დიახ! ამას თქვენ ჩემგან ვერ ეღირსებით, მოქალაქე გადიუკინ!

პირდაპირ არ ვიცოდი, რა მექნა. სად გაქრა ზარი? აი, ახლახან აქ იყო. ბაყაყი ხომ არ იყო, თავისით გადამხტარიყო სადმე! იქნება რადიატორის იქით გადავარდა? ჩავცუცქდი და რადიატორის იქით მტვერში დავიწყე ძებნა. მაგრამ ვერ ვნახე ზარი! არ არის, ხალხნო! რა ვქნა?!

სცენაზე კი შავწვერებიანმა ბიჭმა თითების მტვრევით დაიყვირა:

—მეხუთეჯერ გევედრებით, მიჩვენეთ აეროდრომის გეგმა!

შავკოსტუმიანმა ბიჭმა ჩემკენ მოიხედა და საშინელი ხმით დაიღრიალა:

— ამას თქვენ ჩემგან ვერ მიიღებთ, მოქალაქე გადიუკინ!

და მე მუშტით დამემუქრა. წვერებიანმაც მუშტი მომიღერა. ორივე მემუქრებოდა!

ვიფიქრე, მომკლავენ-მეთქი. მაგრამ რა მექნა, ზარი არსად იყო! ვერ ვნახე! დაიკარგა ზარი.

მაშინ შავკოსტუმიანმა ბიჭმა თმაში წაივლო ხელი, მავედრებელი სახის გამომეტყველებით შემომხედა და წარმოთქვა:

— ალბათ, ახლავე დარეკავს ტელეფონი! აი ნახავთ, ამ წუთში დარეკავს ტელეფონი! ახლავე დარეკავს!

მაშინ უცებ მოვისაზრე. სცენაზე გავყავი თავი და სწრაფად დავიძახე:

— ძინ-ძინ-ძინ!

დარბაზში მყოფთ საშინელი ხარხარი აუტყდათ. შავკოსტუმიან ბიჭს კი გაუხარდა, მყისვე აიღო ყურმილი და მხიარულად წარმოთქვა:

— გისმენთ! — და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

შემდეგ ყველაფერი ჩინებულად წარიმართა. შავკოსტუმიანი ბიჭი ადგა და წვერებიანს მიმართა:

— გამომიძახეს. რამდენიმე წუთში დავბრუნდები!

იგი სცენიდან გავიდა და მეორე მხარეს დადგა. მაშინ წვერებიანი ბიჭი თითის წვერებზე მივიდა შავკოსტუმიანის მაგიდასთან და ქექვა დაიწყო, თანაც წარამარა იხედებოდა აქეთ-იქით. შემდეგ ნიშნისმოგებით გაიცინა, ხელი დასტაცა რაღაც საქაღალდეს და გაიქცა უკანა კედლისაკენ, რომელზედაც მუყაოს ფანჯარა იყო გაკრული. მაშინ მეორე ბიჭი გამოვარდა და პისტოლეტი დაუმიზნა. მე მყისვე წავავლე ხელი ფიცარს და მთელი ძალ-ღონით ვთხლიშე სკამზე. ამ სკამზე კი ვიღაცის უცნობი კატა შემომჯდარიყო. ველური ხმით დაიჭყავლა, რადგან კუდზე დავარტყი. გასროლა არ გამოვიდა, მაგრამ სამაგიეროდ კატა გახტა სცენაზე. შავკოსტუმიანი ბიჭი წვერებიანს ეცა და დახრჩობა დაუწყო. კატა მათ შორის დარბოდა. ამ ჩხუბში, წვერებიანს წვერი მოსძვრა. კატას თაგვი ეგონა, პირი დასტაცა წვერს და, მადლობა ღმერთს, გაიქცა. ბიჭმა, როგორც კი ნახა, რომ უწვეროდ დარჩა, მაშინვე იატაკზე გაიშხლართა, ვითომ მოკვდა. მაყურებლები გიჟებივით ხარხარებდნენ. ამ დროს სცენაზე დანარჩენმა მეოთხეკლასელებმა მოირბინეს და შავკოსტუმიანს შეკითხვები დააყარეს:

— რა სროლის ხმა იყო? ვინ ისროდა?

არავინაც არ ისროდა. კატა აგვეკიდა და ყველაფერი ჩაშალა. მაგრამ შავკოსტუმიანმა ბიჭმა მაინც უპასუხა:

— ეს მე გახლდით, ჯაშუში მოვკალი!

მაშინ წითურმა გოგომ და ყველამ, ვინც კი იყო დარბაზში, ისეთი ტაშის ცემა ასტეხეს, რომ თავი ამტკივდა. სწრაფად ჩავედი გასახდელში. ჩავიცვი და შინისაკენ მოვკურცხლე. მაგრამ რაღაცა სირბილს მიშლიდა. შევჩერდი, ჯიბეში ჩავიყავი ხელი და ამოვიღე... ველოსიპედის ზარი!

თარგმნა **ფ. ნიშნიანიძემ**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ცული დაიკარგა...

ფიჩხისათვის მიმავალ ბიჭებს ტყიდან ცულის ხმა შემოესმათ. პირველად ყურს არ დაუჯერეს — ხის მოჭრა რომ არ შეიძლება, ეს პატარა ბავშვმაც კი იცის, მაგრამ საეჭვო არაფერი იყო — ვიღაც ხეს ჭრიდა.

— წავედით!

— ჩქარა! — გაისმა შეძახილი და ბიჭებმა ელვისებურად აირბინეს აღმართი.

ეს—მათი თანასოფლელი, მიხეილ გლურჩიძე ჭრიდა ახალგაზრდა ხეებს.

„მწვანე საგუშაგოს“ წევრებმა გულისტკივილით გადახედეს ნორჩ ნარგავებს და უთხრეს უფროსს: — ნუ მოსჭრით ხეებს, თქვენ დაისვენეთ, ხმელ შეშას ჩვენ შეგიგროვებთ ტყეში.

პიონერული ჭირა



ამ არაჩვეულებრივ რუკას ხაშურის რაიონის ბევრ სკოლაში ნახავთ. ყოველი წრე და მასში მოთავსებული ნახატი პიონერთა საინტერესო საზოგადოებრივ საქმიანობაზე გვიამბობს. ხაშურელმა ნორჩმა ლენინელებმა პიონერულ ზონებად გამოაცხადეს თავიანთი ქალაქისა და სოფლების მიდამოები. ახლა მათ ყოველთვის აღელვებთ, რაც იქ ხდება, ყოველივეზე შესტკივათ გული. ყველა დიდი თუ პატარა საქმეში მათ ამოძრავებთ კომუნისტური ყოფაცხოვრების დევიზი:— ყველა ერთისათვის და ერთი ყველასათვის!

მიხეილმა არაფრად ჩააგდო ნათქვამი და ისინიც ბუჩქებში გაუჩინარდნენ.

— როგორ მოვიქცეთ? — იკითხა ნოდარმა.

— სოფლის საბჭოში ჩვენს მისვლამდე ვინ იცის რამდენ ხეს მოჭრის? — დაუმატა სერგომ.

— იცით რა მოვიფიქრე, ბიჭებო! — გაელიმა მერაბს და ამხანაგებს თავისი გეგმა გააცნო.

რამდენიმე წამიც და ხეების ჭრით

აი, ახლაც პიონერულ კოცონზე იწვევენ სტუმრად კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრებს. (ზემოთ).

ხაშურის კულტურისა და დასვენების ბაღს ხშირად პიონერთას უწოდებენ—ეს იმიტომ, რომ პიონერები ასუფთავებენ და თვალისჩინივით უვლიან მის ყოველ კუნჭულს. (ქვემოთ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გართულ მიხეილს ბულბულის გალობა შემოესმა სულ ახლო ბუჩქიდან. მან ცულს ხელი უშვა და იქითკენ გასწია. ბევრი ეძია, მაგრამ ბულბული ვერ აღმოაჩინა. როდესაც უკან დაბრუნდა, ცული ადგილზე არ დახვდა.

მიხვდა, კარგად მიხვდა, თუ სად გაქრა ცული, ვინ წაიღო იგი მისი სახლის ეზოში, და დარცხვენილს შემდეგ ტყეში არ წაუღია.

ასე ფხიზლად დარაჯობენ მწვანე ნარგავებს ქვიშხეთელი პიონერები. ბორჯომისაკენ მიმავალ გზატკეცილის ორივე მხარეს რომ ხეებია, ისინიც პიონერებმა დარგეს. ხშირად მოდიან აქ, წყალს ასხამენ, ნიადაგს უფხვიერებენ, ხეებიც იზრდებიან, მხარს შლიან და ორწლედის საუკეთესო სახსოვრად დარჩებიან სოფელში.

კარგი ტრადიცია

რაგინდ ეჩქარებოდეს, პატარა ლალი ყოველთვის შეჩერდება და გულისფანცქალით შეხედავს ელექტრომავალს, თან აუცილებლად კაბინისაკენ გააპარებს თვალს, — იქ ის ბიძიაა, მე რომ ყელსახვევი გამიკეთაო, — ამბობს ყოველ ელექტრომავალზე.

ეს ხეები „მწვანე საგუშაგოს“ წევრების დარგულია. ძალიან უხარიათ ნორჩებს, რომ ნარგავებმა მათ ზრდაში გაახწრეს.

იცის, კარგად იცის გოგონამ, რომ მათი რაზმის საპატიო პიონერს ერთი ელექტრომავალი დაყავს და ყველგან ვერ იქნება, მაგრამ რა ქნას, ეს ზედმეტი სიყვარულით მოსდის, რომ ყველა ელექტრომავლის კაბინაში ბიძია რევაზს ხედავს.

კარგი ტრადიცია აქვთ ხაშურის მე-3 საშუალო სკოლაში — ნორჩები რკინიგზის დეპოში აწყობენ ყოველ საზეიმო შეკრებას და აქვე იღებენ ოქტომბრელებს პიონერთა რიგებში. პატარებს ყელსახვევებს უკეთებენ მოწინავე რკინიგზელები, კომუნისტური შრომის დამკვრელები.

პიონერები რკინიგზელებისათვის ხშირად მართავენ კონცერტებს, დეპოსა და კლუბის ეზოში რგავენ ხეებს, შეხვედრებს უწყობენ კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრებს. აი, რატომ არის პიონერული ზონის რუკაზე დეპოს ზემოთ გამოსახული პიონერული ნიშანი.

ვინ აავსო კოკა?

დიდედა სონამ გაოცებით შეათვალიერა კოკა. ემძიმა, შიგ წყალი არ ეგულებოდა და, როცა სავსე ნახა, გაუკვირდა — მოხუცებულობას რა ვუთხრა, არც კი მახსოვს, რომ წყალი მომიტანიაო, — ხმადაბლა უსაყვედურა საკუთარ თავს.

მაგრამ, როდესაც მეორე დილით კოკა კვლავ სავსე დახვდა, გაოცებისაგან მხრები აიჩეჩა.

ალბათ დიდხანს გაოგნებული იდგებოდა დიდედა სონა, რომ მეზობლის პატარა გოგონას არ ეთქვა: მე ვიცი, ვისაც მოაქვს წყალი, მაგრამ ვერ ვიტყვი — ასე მითხრეს, არ გაგვაცხადოო...

ასე გაიცნო პირველად დიდედა სონამ ქვიშხეთელი თემურელები. ჯერ მათი დაბარული ყანა და ვენახი ნახა და შემდეგ თვით ბავშვები.

ტყიდან ფიჩხიც ხშირად მოაქვთ ნორჩებს და წყაროდან წყალიც. ერთი სიტყვით ყოჩაღები არიან, ყოჩაღები!

გურამ ბახტაძე

ფოტო ი. კირშენბლატისა

მკვლევრების გადაუჭრელი პრობლემები

რატომ გალობენ ფრინველები?

ამ, თითქოსდა მარტივ კითხვაზე ჯერ კიდევ არ არის გაცემული საბოლოო პასუხი. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, დედალი ფრინველების გალობა ადრე გაზაფხულზე, აფრთხილებს სხვა ფრინველებს იმის შესახებ, რომ ადგილი ბუდისათვის უკვე დაკავებულია. მაგრამ, როგორც ჩანს, საქმე გაცილებით უფრო რთულია.

ფრინველთა გალობის მოყვარულებმა დიდი ხანია შეამჩნიეს, რომ ერთი სახეობის ფრინველების გალობა ბინადრობის სხვადასხვა ადგილებში ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ტამბოვისა და კურსკის ბულბულები, მაგალითად, სულ სხვაგვარად მღერიან, ვიდრე სხვა ოლქებში მობინადრე ბულბულები. სკვინჩის სიმღერის ტემპი, ტემბრი და ხასიათი განსხვავებულია იმ ფრინველებისაგან, რომლებიც კავკასიაში ბინადრობენ. თვით ერთსა და იგივე ადგილებში მცხოვრებ ერთი ჯიშის ფრინველებს შორისაც ზოგი განსაკუთრებული „მღერადობით“ გამოირჩევა. ხმაც უფრო ტემბრიანი, ლამაზი აქვს. რატომ ხდება ასე?

დღესდღეობით ეს საკითხიც გაურკვეველია. ბარტყების გამოჩეკის თუ აღზრდის დროს ფრინველთა სიმღერა სუსტდება ან მთლად წყდება. ისინი სულ სხვა ბგერების გამოცემას იწყებენ: დედალი კრუხავს — ეძახის წიწილებს, შაშვი ჭახჭახებს, წვრილი ჩიტები შეშფოთებით ჟივიან.

ოსკოვის ზოოპარკში მოხდა ერთი უცნაური შემთხვევა. გარეულმა იხვმა, რომელსაც თვითონ არ დაუდვია კვერცხი, ბუდიდან განდევნა წითელი იხვი და თვითონ გამოჩეკა ჭუკები. მაგრამ ჭუკებს სავსებით „არ ესმოდათ“ მისი ძახილი, არ გროვდებოდნენ ერთად, როცა მათ „დედინაცვალი“ ეძახდა. ერთხელ მათთან მივიდნენ დედალი და მამალი წითელი იხვები და ჭუკებს თავისებური, გასაგები, მშობლიური ენით „გამოესაუბრნენ“. ჭუკები მაშინვე გამოეხმაურნენ, მოშორდნენ „დედინაცვალს“ და მასთან აღარ მიდიოდნენ.

ფრინველთა ენის ამ და მრავალ სხვა საიდუმლოს ამოხსნა მოელის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გმირი ჯაფირი

ნახ. დ. ხახუტაშვილისა

XVII საუკუნეში, ქართლში, ატენის ხეობის სანახებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ერთი ქართველი სახალხო გმირი, რომელსაც სახელად ჯაფირი ერქვა.

მშრომელი ხალხის წიაღიდან გამოსულ ჯაფირს ხალხის ჭირ-ვარამი თავის გასაჭირად მიაჩნდა. თურმე. იგი განსაკუთრებით ქვრივ-ობოლთა და გაჭირვებულთა მფარველი და ქომაგი იყო.

როგორც ერთი ისტორიული გადმოცემა მოწმობს, ჯაფირი ცხოვრობდა ქართლში, როსტომ მეფის ხანაში. იგი ერთ ხანს მეფის კარისკაცადაც ყოფილა. ეტყობა სამშობლოს წინაშე დამსახურებისა და ერთგულების გამო დაწინაურებულა სამეფო კარზე.

ჯაფირი არაჩვეულებრივი ახოვანი ვაჟკაცი იყო. მისი სიმაღლე ხუთი ადლი, ესე იგი დაახლოებით ორნახევარი მეტრი ყოფილა. ჯაფირის გოლიათური ფიგურა ხალხში გაკვირვებას იწვევდა. მას მრავალ ბრძოლებში მიუღია მონაწილეობა, როგორც სპარსთა და თურქთა, ისე შინაური მოძალადე თავადების წინააღმდეგ. ჯაფირი გიორგი სააკაძის თაობის კაცი და შეიძლება მისი თანამებრძოლიც იყო.

ხალხში ჯაფირს გმირის სახელი ჰქონდა მოპოვებული და ხალხს თავის მფარველად მიაჩნდა.

გადმოცემით, ჯაფირის დროს ქართლში შემოჭრილ თურქთა ურდოებს ქვეყნის დაპყრობა და ჯაფირის ტყვედ ჩაგდება ნდომიათ, მაგრამ ქართველებს ჯაფირის მეთაურობით საძულველი მტერი ატენის ხეობაში გაუნადგურებიათ და მტრის ჯარის მეთაური თვით ჯაფირს ჩაუგდია ტყვედ. რამდენიმე ხნის შემდეგ ჯაფირს ტყვე გაუთავისუფლებია და ხალხის თანდასწრებით უთქვამს: „წადი ჩვენი ქვეყნიდან და ნუღარ ვეომებიო.“

როდესაც ჯაფირი გარდაიცვალა, ხალხმა გულით დაიტირა თავისი გმირი და მისი ცხედარი ატენის ცნობილი ისტორიული ტაძრის—სიონის პირდაპირ დანახვისის სანახებში, რაზმითის მთის ძირში განმარტოებულ ადგილას დაკრძალა და დავიწყებისაგან გადასარჩენად ნიში აუგო.

სამწუხაროდ, საქართველოს ისტორიაში ჯაფირის, ისე როგორც ბევრი სხვა სახალხო გმირის სახელი მოხსენებული არ არის. ჯაფირი მხოლოდ ერთგან მოიხსენია გამოჩენილმა ქართველმა ისტორიკოსმა და გეოგრაფმა ვახუშტი ბაგრატიონმა, ისიც საქართველოს აღწერასთან დაკავშირებით. სახელოვანი მეცნიერი წერს: „მოერთვის ტანას ხევი დრისა, გამომდინარე რაზმითის მთისა; და არს მთა კალთათა ტყიანი, თხემთა უტ-

საიუბილეო ეძღვნული ბიბლიოთეკა

ყეო. აქ არს საფლავი ჯაფირისა, რომლისა სიგრძე ხუთი ადლი, და სცოცხლევდა ჟამსა როსტომ მეფისასა".

ხალხმა საუკუნეებში გულით ატარა თავისი გმირის სახელი. ჯერ კიდევ გმირის სიცოცხლეში შეიქმნა ლექსები და სიმღერები, რაც ქართველმა მესტვირეებმა აიტაცეს და სამშობლოს თითქმის ყველა კუთხეში მოჰფინეს.

ცნობილმა ქართველმა პოეტმა იოსებ დავითაშვილმა ქ. გორში მესტვირეებთან ჩაიწერა ერთი ასეთი ლექსი — სიმღერა ჯაფირზე. აი ეს ლექსიც:

„როსტომ მეფის კარისკაცი,
იყო ჯაფირა გმირიო;
მეფის სიტყვის არ გამტეხი
მას ჰქონდა ერთი პირიო.
ქვრივ-ობლისა მწყალობელი,
საქართველოის ძირიო.
ოსმალთ მეფეს წინ დაუხვდა
და მას უჩვენა ლხინიო!
სადილს უკან გამოჰგვარა
თავისი კუდა ვირიო.
საქართველოს ვიმორჩილებ,
ნუღარსად ნუღარ ყვირიო!
შენ ქვეყანას მოუარე,
ამითი ზიდე ხილიო.
წადი და არ დაივიწყო
საქართველოის გმირიო.
შენ ჩვენ ნუღარ გვეომები,
თორემ დაგიჯდა ძვირიო.
ჩემ მაგივრად წაიყვანე
ეს ჩემი კუდა ვირიო".

ჯაფირის სახელი მხოლოდ ჩვენს საუკუნეში გადავიდა ქართულ მწერლობაში. პოეტმა-აკადემიკოსმა გიორგი ლეონიძემ, რომელმაც ამ ოცდაოდე წლის წინათ ინახულა ჯაფირის საფლავი, მშვენიერი ლექსი მიუძღვნა გმირის ხსოვნას.

...ამ დევკაცს ძუძუ ვინ მოაწოვა,
რომ სამარეც კი აქვს ახოვანი,
აურჩევია ნავსაყუდარად
ტყე ულრანი და ბალახოვანი".

ხალხმა, რომელმაც საუკუნეთა მანძილზე სათუთად ატარა თავისი გმირის სახელი და დიდება, თავის გულში აღუმართა მას ხელთუქმნელი ძეგლი.

ვ. სიდამონიძე

ნახ. დ. ხახუტაშვილისა

ვინ რა თქვა გარდაცვალების წინ

— მომცემთ თუ არა ექვს დღეს? — ემუდარებოდა მკურნალ ექიმს სიკვდილის წინ **ონორე ბალზაკი**, — ექვსი ცოტაა.... მე მოვასწრებ ჩემი ორმოცდაათი ტომის სწრაფად გადათვალიერებას... ამოვხევ ცუდ გვერდებს... მეტ ძალას მივცემ კარგს. ადამიანის ნებისყოფა სასწაულებს ახდენს. ექვს დღეში მე უკვდავებას მივანიჭებ იმ სამყაროს, რომელიც შევქმენი.

ეს მწერლის უკანასკნელი სიტყვები იყო.

უიმედოდ ავადმყოფი **ჰაინრიხ ჰაინე** მუშაობას არ წყვეტდა. სიკვდილამდე ოთხი დღით ადრე, 1856 წლის 13 თებერვალს, მან ექვსი საათის განმავლობაში განუწყვეტლივ წერა. იგი ამბობდა, რომ სამუშაოს დასამთავრებლად მხოლოდ ოთხი დღეღა სჭირდება. მემუარები მართლაც თითქმის დაამთავრა. 16 თებერვალს მან მოითხოვა: „ფანქარი და ქაღალდი"... მაგრამ ფანქარი სამუდამოდ გაუვარდა ხელიდან.

უმაგალითო სიმშვიდით შეხვდა თავის უკანასკნელ წუთს **ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი**. სიკვდილის წინ მან ლათინურად თქვა: „ტაში დაუკარით, მეგობრებო, კომედია დამთავრდა".

თავის დროზე სახელგანთქმული წიგნის — „ცივილიზაციის ისტორია ინგლისში" — ავტორი **თომას ბოკლი** დამასკოში გარდაიცვალა. სიკვდილის წინ უკანასკნელად მოიკრიბა ძალა და თქვა:

— წიგნი, ჩემი წიგნი! ვერასოდეს დავამთავრებ ჩემს წიგნს!

1839 წლის 16 მარტს **გოეთე** დილიდანვე სავარძელში იჯდა, შინაურებთან და ექიმებთან საუბრობდა. უცებ მან თქვა:

— გააღეთ ფანჯარა!

მან ფანჯრისაკენ წაიწია.

— მეტი სინათლე!

შემდეგ სავარძელში გადაწვა და გარდაიცვალა.

ჯორჯ ბაირონი, როგორც ცნობილია, საბერძნეთში გარდაიცვალა. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო:

— ახლა მე უნდა დავიძინო!

ავადმყოფობით სარეცელს მიჯაჭვულმა **მოცარტმა** უცებ ხელები აღმართა და თითქოს დირიჟორობა დაიწყო. ახლობელთაგან ვიღაცამ მას საბანი გაუსწორა. კომპოზიტორმა ანიშნა, ხელს ნუ მიშლიო და თქვა:

— საშუალება მომეცით უკანასკნელად დავტკბე მუსიკის ხმებით!

რამდენიმე წუთის შემდეგ დიდი კომპოზიტორი გარდაიცვალა.

—ყველაფერი ისე მიდის, რომ უკეთესად არც შეიძლება! — ამ სიტყვებით დაასრულა წუთისოფელი გამოჩენილმა ინგლისელმა სამხედრო და საზოგადო მოღვაწემ **ველინგტონმა**.

ნაპოლეონის უკანასკნელი სიტყვები იყო:

— ჯარის კოლონა...

ბონაპარტს ფრაზა არ დაუმთავრებია.

ავადმყოფობით დასუსტებულმა დეკაბრისტმა **ბარიატინსკიმ** სიკვდილის წინ საწოლიდან წამოყენება მოითხოვა:

— ჯარისკაცი ფეხზე უნდა მოკვდეს!

ინგლისის დედოფალი **ელისაბედი** მის წინ მდგომ ექიმს ემუდარებოდა:

— აიღეთ მთელი ჩემი იმპერია, ერთი დღის სიცოცხლეში!

რომის იმპერატორი **ოქტავიანე** თავის ექიმს ემუქრებოდა:

— მე თუ მოვკვდი, უკანასკნელ წუთს თქვენს ჩამოხრჩობას ვბრძანებო.

—მე კი შევასრულე აქ ჩემი საქმეები... — უთხრა სიკვდილის წინ თავის შვილობილს **ალბერტ ეინშტეინმა** და თვალები დახუჭა.

დათუნია და ვაშლი

შალვა ცხადაძე
ნახატები ავტორისა

დათუნია ბაჯბაჯას რაღაც უხაროდა, ოღონდ თვითონაც არ იცოდა—რა. სიმღერის ხასიათზედაც მოვიდა, მაგრამ დაღლილი იყო და პირის დაღება დაეზარა. ის იყო დასვენება დააპირა, ბექობზე ჩამოვჯდებიო რომ, გაახსენდა, ნაკადულზე გადებული ხიდი ჯერ არ გაევლო! მერე და როგორ უყვარდა დათუნიას შუა ხიდზე დგომა და ანკარა წყალში ყურება!

ხიდის გახსენებაზე ბაჯბაჯა გამხიარულდა, ცოტა ნაბიჯსაც უმატა. ამასობაში ნაკადულსაც მიადგა. შუა ხიდზე შეჩერდა თუ არა, ბუჩქებიდან გამოსულმა მელია ცლანგამ გზაზე მიმავალი ზღარბი დაინახა. მიეპარა ფეხაკრეფით და კანაფმობმული წითელი ვაშლი ეკლიან ზურგზე სწრაფად ჩამოაცვა.

ზღარბმა გაიფიქრა: ეს რა დამეცაო? მიიხედა: ნახა ვაშლი იყო, გაუხარდა, ცოლ-შვილთან ხელცარიელი აღარ მომიხდება მისვლაო, და გასწია შინისაკენ. დათუნია კი ბუნების სილამაზეს შეჰყურებდა.

ამ ტყეში ეს ადგილ-სამყოფელი ულამაზესად ითვლებოდა. ბულბულების ოჯახი უხსოვარ დროიდან აქ ცხოვრობდა. ირგვლივ მინდორი გულჭრელ ყვავილებს მოექარგა. ჰაერი საამური სურნელებით იყო გაჟღენთილი. იდგა დათუნია ბაჯბაჯა შუა ხიდზე და მოჩუხჩუხე ნაკადულში იყურებოდა. კამკამა წყალში ყველაფერი მოჩანდა: ხავსი, კენჭები, თევზები, რომლებიც ათასნაირად კიაფობდნენ მზის სხივებზე. დიდი ბედნიერება იგრძნო ბაჯბაჯამ, როცა თავისი ბანჯგვლიანი თავიც დაინახა სარკესავით ანკარა წყალში. ძალზე დაღონებული მოჩანდა, მაშინვე მხიარული სახე მიიღო, რაც შეეძლო გაიბღინძა, მოეწონა თავისი თავი და გაიფიქრა:

„ნეტავ იმოდენა ჭურჭელი მომცა, — ჩემი გამოსახულება წყლიანად წამაღებინა და სახლში კედელზე სურათად დამაკიდებინაო“. თან სურათისათვის ჰოზებს არჩევდა: ხან დოინჯშემოყრილი დადგა. ხან ფეხები გაჩაჩხა და ზურგზე თათები შემოიწყო, ბოლოს ყველაზე მრისხანე მეომარი დათვის პოზა მიიღო. „ეს კი ნამდვილად მამაჩემს მოეწონებაო“, —გაიფიქრა დათუნია ბაჯბაჯამ და სიამოვნებისაგან გაიღიმა.

სწორედ იმ ადგილას, სადაც დათოს დაღებული პირი მოჩანდა წყალში, უცებ ბაყაყი ამოხტა. ვაიმე დედაო! — ერთი შესძახა ბაჯბაჯამ და პირზე თათები აიფარა. როდესაც მიხვდა, რომ ეს ყველაფერი წყალში მოხდა, გონს მოვიდა, მოტრიალდა და რას ხედავს: ვაშლი! ოღონდ ჩამოკიდებული კი არ არის ტოტზე, არამედ მიდის. თვალებს აღარ უჯერებდა, ალბათ ესეც წყალში ხდებაო. მაგრამ არა, ეს ნამდვილი ბილიკი იყო და ვაშლიც ნამდვილად მიდიოდა. ზღარბი ბალახებში არ მოჩანდა. აგერ, იმ ქვას გასცდა, აღმართიც აიარა, თუმცა ძალზე ნელა მიდის, მაგრამ ხომ მიდის? პირდაპირ უცნაურია, აბა, ვაშლი როდის დადიოდა!

— ეეხ!.. — ამოიოხრა დათუნიამ, — რაში მენაღვლება ყველაფერი, მთავარია ეს გემრიელი ვაშლი ჩავიგდო ხელში და ჩავკბიჩოო! ძუნძულით გამოუდგა გზაზე მიმავალ ვაშლს, თან ემუქრებოდა—სად წამიხვალო!

და დაეხტა დათუნია ბაჯბაჯა უეცრად წითელ ვაშლს. მოსწია მელია ცლანგამ თავისკენ კანაფი: ვაშლი ბალახებში გადაგორდა, ხოლო ბაჯბაჯა ზღარბის ეკლიან ზურგს დაენარცხა დრუნჩ-პირით.

საზარელი ბღავილით წამოვარდა დრუნჩ-პირდასისხლიანებული დათუნია. ვაშლი სადღაც გამქრალიყო, ბუძგა ზღარბი შიშისაგან უფრო აბუძგულიყო და გზიდან გადარბოდა, მელია ცლანგა კი ბუჩქებში სიცილით იგუდებოდა.

ბაჯბაჯა და ის ქვეყანა

როგორც ყოველთვის, დედა ბურდღუნიამ ამ დილითაც თავის ბაჯბაჯას ზურგჩანთაში წიგნებთან ერთად გემრიელი საუზმე ჩაუდო და სკოლისკენ გაისტუმრა.

მიდის დათუნია უდარდელად. მელიების ორმო-სახლამდე მისულიც არ იყო, რომ რაღაც ჭირად გაახსენდა აი, უფროსები რომ იტყვიან ხოლმე: „ქვეყანა დიდიაო“, ანდა „კაცო, რას ჩხუბობო, ამოდენა ქვეყანაზე შენც დაეტევი და შენცაო“. ჰოდა, დათუნია ბაჯბაჯასაც მოუნდა ენახა ეს ქვეყანა თავისი სიგრძე-სიგანით, ხოლო როგორ — ეს აღარ იცოდა.

ამ ფიქრებში წასულს უკან მელია ცლანგა ასდევნებოდა, საჭმლის სუნი სცემოდა და აღარ იცოდა რა ექნა. გონება სულ მთლად დაჰკარგოდა. ვერ მოეფიქრებინა, რა ღონით ჩაეგდო ხელში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაჯბაჯას ზურგჩანთა გემრიელი საუზმით. უცებ ცლანგამ ფეხი ხმელ ტოტს წამოჰკრა და კინაღამ დაეცა. ხმაურზე დათუნია ფიქრებიდან გამოერკვა და უკან მოიხედა, მელია ცლანგა რომ შერჩა ხელში, უსიამოვნოდ დაიღმიჭა.

— დილა მშვიდობისა, დათუნია ბატონო! — მიესალმა ცლანდა.

— მშვიდობა მოგცეს, მელია ცლანგა! — უპასუხა უგემურად ბაჯბაჯამ.

— დათუნია ბატონო, როგორ ჩაფიქრებული გაქვთ ეგ ჭკვიანური სახე. ალბათ დიდ საქმეებზე ფიქრობდით, არა?

დათუნია კმაყოფილი დარჩა მელიას თავაზიანობით და უპასუხა:

— სწორედ რომ დიდ საქმეზე ვფიქრობდი, თუმცა შენ ვერც გაიგებ. არა, მაინც გეტყვი. გაგიგონია „ქვეყანა დიდიაო“? — ვფიქრობ, როგორ ვნახო ეს ქვეყანა!

„ერთი ამ გამოყეყეჩებულს უყურეთ, ეს რა მოუნდომებიაო“ — გაიფიქრა გუნებაში ცლანგამ, ბაჯბაჯას კი უპასუხა:

— აი, ეგ მესმის! მე უბედურმა ვიკითხო, ხეზე გასვლა რომ არ მეხერხება, თორემ თქვენ რა გიჭირთ, ახვალთ ტბასთან დიდ მუხაზე, კენწეროში მოექცევით და ხელისგულივით დაინახავთ მთელ ქვეყანას.

„ბიჭოს! ეს რა კარგად მითხრა!“ — გაიფიქრა დათუნიამ, გამოემშვიდობა და საჩქაროდ ტყიდან ფერდობზე დაეშვა. გადიძუნძულა მინდორი და ვეებერთელა მუხის ძირას მიბაჯბაჯდა. ზურგჩანთა გვერდზე მიაგდო, მოებღაუჭა ხეს და აბობღებას შეუდგა.. რის ვაი-ვაგლახით ტოტებამდე მიაღწია, იქიდან კი სწრაფად იწყო ასვლა.

ნახევრამდე არც კი იყო ასული რომ, მუხის ძირში მელია ცლანგა მიცუნცულდა. დაითრია ზურგჩანთა, ჩაჯდა იქვე და თვალების ბრეცით ბაჯბაჯას საუზმეს გემრიელად შეექცა.

სად იყო და სად არა, თაგუნია წრუწუნა ამოძვრა სოროდან. შიმშილისაგან საცოდავად აცმაცუნებდა ტუჩებს. ცლანგამ ეშმაკურად გაიქნია თავისი პიშპიშა კუდი, ხალათის უბიდან საჭმლის ნამცეცები მოაგროვა და მშიერ თაგუნიას დაუწყო მიწოდება. ჯერ შორს, შემდეგ სულ ახლოს და ახლოს უყრიდა. თაგუნიაც შიმშილისაგან გაბრუებული მიჰყვებოდა ლუკმებს. მელია ცლანგამ ახლოს რომ მოიტყუა წრუწუნა, სწრაფად დასტაცა თათი და დათუნიას ზურგჩანთაში ჩაკეტა.

ამასობაში ბაჯბაჯაც მოექცა მუხას კენწეროში. მართლაცდა, მშვენიერი სანახაობა გადაეშალა დათუნიას თვალწინ. ირგვლივ მთები, მდინარეები, მინდვრები და გორაკები მოჩანდა. ამ სულელს ეგონა, ეს არის მთელ ქვეყანას გადავყურებო და სიხარულისაგან აღარ იცოდა რა ექნა.

— ვაშაა!.. — შესძახა ბაჯბაჯამ, — ესეც ასე, ეს ქვეყანაც ხომ ვნახე, მაშ არადა, ზოგიერთივით მარტო მიწაზე სიარული ხომ არ უნდა იცოდე კაცმაო!

საუცხოო მწვანე ტყეში მზის სხივებზე ლურჯად კიაფობდა ტბა. ბიჭოს! იხვები! მთელი ოჯახი ტბაში ჭყუმპალაობდა, მშვენიერ ხასიათზე იყვნენ ყვითელი ჭუკები, მათი მხიარული ვიტვიტი დათუნიას ყურამდეც აღწევდა, ბაჯბაჯაც კარგ გუნებაზე გახლდათ.

— წავიდე ერთი, მეც ვიბანავოო! — თქვა და დაეშვა ქვემოთ.

დადგა თუ არა ფეხი მიწაზე. მაშინვე დასტაცა თათი ზურგჩანთას და ძუნძულით გასწია ტყისაკენ.

ტბასთან გრილი ნიავი უბერავდა. დათუნია ისეთ ჭამის მადაზე მოვიდა, რომ ბანაობა სულ გადაავიწყდა და ჩაჯდა იქვე მწვანედ მოხასხასე ბალახებში. ჩანთა ფეხებშუა მოიქცია. ის იყო, ახადა თავი და საუზმის ამოღება დააპირა რომ, დამფრთხალი თაგუნია აწრიალდა. შეშინებულმა დათუნიამ თათი სწრაფად ამოიღო ჩანთიდან და გაკვირვებისაგან პირდაღებულმა შიგ ჩაიხედა. ამ დროს გულგახეთქილი წრუწუნა შურდულივით ამოვარდა და პირდაპირ ბაჯბაჯას კუპრივით შავი პირის ღრუში ამოჰყო თავი. დათუნიამ ერთი დაიბღავლა საზარლად და გულშემოყრილი გაიშლართა ბალახებში, თაგვმა კი თავს უშველა.

— უი, ამას რას ვხედავ! — წამოიძახა კურდღელმა, რომელიც რაღაც საქმეზე მიეშურებოდა, მაგრამ ამის დანახვაზე ყველაფერი დაივიწყა და ბაჯბაჯას თავთან ჩაცუცქდა.

— ვაიმე, მიშველეთ, გული წასვლია! იხვებო, წყალი, წყალი საჩქაროდ! ასხურეთ ამ უბედურს, თორემ მოკვდება ეს დათვის შვილი ესა! — ემუდარებოდა კურდღელი იხვებს.

იხვებმა დიდი ვახვახი შექნეს ტბაზე. მთელი ოჯახი ფრთების ტყლაშუნით მოაწყდა ნაპირს, შემდეგ ყველა ერთად მოკვატკვატდა დათუნიასთან და გაშვერილი ფრთებიდან რიგრიგობით ასხეს წყალი ბაჯბაჯას.

როგორც იქნა, გამოცოცხლდა დათუნია, წამოჯდა, ძლივს სუნთქავდა, ჰაერი აღარ ყოფნიდა, მიიხედ-მოიხედა: უამრავი ფრინველისა და ცხოველის ფართოდ დაჭყეტილი თვალები მისჩერებოდა საცოდავს.

ბუნებისმეტყველება

ოცდაა ანანაზის ოინები

ერთხელ კოლო, მღილი და ბუზი სანადიროდ გაეშურნენ. ტყეში ობობა ანანაზი შემოეყარათ. გაგებულიყოფილი მონადირეები ობობას თავს დაესხნენ, მაგრამ ობობა ღონიერი აღმოჩნდა და კოლომ, მღილმა და ბუზმა მას ვერაფერი დააკლეს.

როდესაც ბრძოლით ყველა მოიღალა, ანანაზმ შესთავაზა:

— მოდით სხვადასხვა ამბები მოვყვეთ. ვინც მონაფილს არ დაიჯერებს და ატყვის, ეს სიცრუეთაო, ის შეეჯამოთ.

კოლო, მღილი და ბუზი დაეთანხმნენ. პირველად მღილმა დაიწყო ამბის მოყოლა:

— ჩემს დაბადებამდე რამდენიმე დღით ადრე მამაჩემი ფეხში დაიჭრა და მუშობა ვეღარ შეძლო. მე ხის ტოტიან გადმოვხტი, მთელი მინდორი დავხანე, ხორაცი დავთესე, მოსავალი ავიღე და ბეღელშიც დავბინავდი. ჰოდა, როდესაც ორი დღის შემდეგ ქვეყანას მოვეელინე, მამაჩემი კარგა გამდიდრებული დამიფდა.

ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ობობა ამ სიცრუეს არ დაიჯერებდა. მაგრამ მოხდა საოცრება, ობობამ თანხმობის ნიშნად თავი დინჯად დაიქნია და განაცხადა:

— ჭეშმარიტებაა!

ახლა კოლომ დაიწყო:

— ოთხი წლისა ვიყავი. ტყეში სეირნობისას შემთხვევით სპილო მოვკალი და ზურგზე შევასკუპდი, უეცრად ავაზა დავინახე. გადავწყვიტე მისი შეპარობა, მაგრამ მან ჩემს გადასაყლაპავად უშველებელი ხახა დაადო. რა თქმა უნდა, არ დავიბენი, ხელი ხახაში ჩავუყავი, მოვსწვდი მის კუდს და მთელი ძალღონით ავაზა უკუღმა გადმოვაბრუნე. ავაზას თურმე რამდენიმე ღღით ადრე ცხვარი გადაეყლაპა. სრულიად უუნებლიე ცხვარი გადმოხტა, ერთი შეიკუნტრუშა, ულრმესი მადლობა გადმოხადა გადარჩენისათვის და მწვანე ბალახის ძოგა დაიწყო.

ახლა უკვე ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ობობა თავს ვერ შეიკავებდა და წამოსცდებოდა „ეს ხომ სიცრუეო!“, მაგრამ ობობამ კვლავ თავი დაიქნია თანხმობის ნიშნად.

— როგორ არა, ასეთი ამბებიც ხდება, ჩემო ბატონო!

დადგა ბუზის ჯერი.

— ერთხელ სანადიროდ ტყეში წავედი. ეხეიკოვ, მოდის ოლტლონი. მე, რა თქმა უნდა, სასწრაფოდ თოფი მოვიმარჯვე და ტყეი ვესროლე. სანამ ტყეი ანტილოპამდე მიაღწევდა, დავიწყე ანტილოპს და ტყეი ვგავდრე. ამასობაში ჩემს მიერ გასროლილი ტყეიაც წამომეწია. დავიჭიე და ოთფი ამაეე ტყეიით ხელახლა დავტეხე. შემდეგ ერთ მაღალ ხის კენწეროზე ავედი, იქვე ჯირეზე კოკონი დავანთე, ანტილოპი შეეწვი და მალიანად შეეჭამე.

ანანაზი ისევ დაეთანხმა:

— უდაოდ მართალი ამბაეია. და ეი ჯერი ანანაზზე დადგა.

ბუნებისმეტყველება

რომორ ისაღდეს ოდოეა ანანაზმ

— გასულ წელს ქოქოსის ხე დავრგე. ნაყოფი ერთი თვეში დამწიფდა. ამ ხიდან სამი კაკალი ჩამოვართეფე, თითოეული მათგანი დანით გადავხსენი და ვინიელე საკვირველება: ერთი კაკლის ლუნგიდან კოლო ამოფრინდეა, მეორეედან — მღილი, მესამედან კი — ბუზი. როგორც მოგახსენეთ, ეს ხე ჩემი დარგული იყო და ამიტომ ამ ამ ხეზე მოწეული ნაყოფიც მე მეკუთვნოდა. ისე რომ, კოლო, მღილი და ბუზიც ჩემს საკუთრებას წარმოადგენენ. მათი შეუპმა მაშინვე დავაპირე, მაგრამ ისინი გამიფრინდნენ. მა შემდეგ მათ ვეღარ ვა ინ, დღეს ძლიეს ვიპოვეთ. ახლა თქვენ ჩემს წინ სხედხართ.

მონადირეები საგონებელში ჩავარდნენ. ვერაფერით ვერ მოიფიქრეს რა ეპასუხათ ობობასათვის, ეთქვათ, ყველაფერი მართალია, — ანანაზი მათ უეჭველად მოჰკლავდა; ეთქვათ, სიცრუეა, — სიკვდილს მიიც ვერ გადაურჩებოდნენ. ცოტა ხანს ისხდნენ ჩუმად და ბოლოს გაფრინდნენ.

იმ დღიდან მოყოლებული, ობობა მუდამ იჯერს კოლოს, მღილს და ბუზს.

იციათ, რატომ აქვს ობობა ანანაზის ძალზე პატარა მუცელი? რატომ და, მისი სიხარბის გამო.

თურმე ერთ დღეს ორ სხვადასხვა ქალაქში ორ ქორწილს იხდიდნენ. „სად მაჯმეეენ უკეთოს სადილს? — ჩაფიქრდა ანანზი, — ძალიან შეიერი ვარ და ამიტომ ორივე ქორწილს უნდა ვეწვეოო“.

ანანზი ქალაქ კიბიში გაეემართა.

— როდის შემოესხდებით სუფრასა? — შეეკითხა ქალაქის მცხოვრებლებს ანანზი, მაგრამ ზუსტი პასუხი არავინ გასცა.

დაბარუდდა ანანზი ქალაქ დიაბეეში.

— ვერ მეტუვთი, მეგობრებო, როდის დაიწყეებთ ჯორის ჭამასა? — აქაც იკითხა ანანზმ, მაგრამ ზუსტი პასუხი ვერავ აქ მიიღო.

ასე ირა ერთი ქალაქიდან მეორეზე; ბოლოს ქანცგაწყვეტილმა ორი ჯრქელი თოკი იყიდა, წელზე შემოირტყა და თავისი ეაკეშვილები: ინტიკუეში და ძინი მოიხმო. თოკის ერთი ბოლო ინტიკუეს მისცა და დაარიგა:

— შეილო, შენ კიბიში ეადი.

თოკის მეორე ბოლო ძინს დაატანებინა.

— შენ კი, დიაბეეში ეადეო. როგორც კი ხალხი სუფრასა შემოესხდება, თოკი დაკაჩეთ და მეც მყისეე იქ გავჩნდეები. „მხოლოდ ასეთი ხერხით შეეძლება კარგად გაძღომას. ახლა კი არ ამცდება სადილი ორივე ქალაქშია“, — ფიქრობდა ანანზი და ელოდა, თუ რომელი მხრიდან დაკაჩნდებენ თოკათ.

დახეთ, რა მოხდა! ორივე ქალაქში ზუსტად ერთსა და იმავე დროს შემოესხდნენ სუფრასა. ინტიკუეში თოკს თავისაკენ ქაჩაედა, ძინი კი საწინააღმდეგო მხარეს. საბრალო ანანზმ კი ადგილიდან ვერ იძრაოდა. შეილები მთელი ძალღონით ეწეოდნენ თოკის მოლოგას. წეკელების დამთავრებისთანავე გამოიკენენ მამისთან ამბის გასაგებად.

მოვედენენ და რა ნახეს: დგას ანანზი უძრავად იმავე ადგილზე, მაგრამ თავის თავს აღარა ჰგავს. ღიპი წვრილზე-წვრილი გახდომია. ასეთი დარჩა ანანზი მთელი სიცოცხლე.

აი, რა მოსდეეს სიხარბეს.

საინტერესოა იცოდეთ

ტროპიკულ ტყეებში, სადაც ბევრ წლის განმავლობაში უცალელია, ხეების წლიური რგოლები არ ამჩნეეოთ.

ბატს და კატას შეეძლოთ ათგანაწ�ტემპერატურა მინუს 110 გრადუსი ცელსიუსით. თეთრი დათვი და ხელაი უძლეველ ეინნვან მინუს 80 გრადუსს ცელსიუსით, მაშინ როდესაც უმრავლესობა ძუძუმწოვრებისა მინუს 45 გრადუსზე დაბალ ტემპერატურას ვერ უძლებს.

უძველესი ფენონი, რომელიც დღემდე შემოსნახა, 1800 წლისაა. ამბობენ (ეიჩრო ეელიანი ინიუეა ბურეკეი ქეეელ სახელმწიფოს და ოთხმეი) ასეთი ფენონი, ალბათ, ალბანეთს ეკ. ზეეიერის (ეერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) ბანალიდან რომეელი სამარხების ეკთხინსას. ამგვარად ეს ფენონ ინახება ეკ. ზეეიერის მეცნეენობის მუზეუმში.

მთვარეზე დღე-ღამის ტემპერატურის ცვალებადობა იმდენად მკვეთრია, რომ ბასზე მცხოვრებნი დღისით გამდღეკილ გოგირდში (ქლეს 129.5 გრადუსი ცელსიუსით) შეძლებენენ ბანაობას, ხოლო ღამით კი ბალიანელ სპირტზე (მინუს 127.5 გრადუსი ცელსიუსით) ცივეურობას.

ერთი კილოგრამი თაფლის დასაგროვებლალ ფუტკარმა დაახლოებით ერთი მილიონი ეკაყლისაგან უნდა მიიღოს ნექტარი, ხოლო ამ ნექტარის სკაში მოსახვდად მან 150 ათასი ეზოთა უნდა გაიკეთოს. თუ ეკეალი, რომლითაც ფუტკარი იკვებება, სკიდან ნახეკარი კილომეტრითაა დაშორებული, მაშინ ფუტკარს დასაჭიდებ თითქმის ნახეკარი მილიონი კილომეტრის გადაფრენა. ეხეეშად რომ ეთქვათ, ეს ბრძოლი ათეეერ მეტი დედამიწის წრეხაზის სიგრძეზე ეკვივალენტის გასწეერვა.

ფუტკარი სწრაფად ფრენს. უტეკიერთიდ იგი საათში 65 კილომეტრს ეკიდის, ეს იმას ნიშნავს, რომ ფუტკარს სიჩქარე ჩვენი ბატარეხეთის სიჩქარეს ეტოლება, ხოლო თუ მას გადაეკეს თავისი წონის სამი მეოთხედი ნაწილი ტვირთი, მაშინ საათში 25-30 კმ-ს ეკვრ.

მიუხედავად იმისა, რომ ზღვის წყალი ძალიან დიდი რაოდენობით შეიცავს მარილებს, აქლემი წყურეოლს ამ წყლით იკლავს. რაც შეეხება ეველ დანარჩენ ცხოველებს და ადამიანს, მათ ზღვის წყალი წყურვილს კიდევ უფრო ეძლიერებს.

საბრძოლო მოძრაკლაკი გაზები ცნობილი იყო ჯერ კიდევ სამხრეთ ამერიკის ინდიელებისათვის. ისინი ალეის შემრეტვისას ყნოსავდნენ წოიეულ წიწაკას და გარშემო ვრცელდებოდა ჩვეეერი სუნი.

... რომ 1965 წლის ბოლოსათვის ჩვენი ქვეყნის ქარხნები იმდენ შაქარს გამოუშვებენ, — მისგან შეიძლება აღიმართოს ახალი იალქანი.

...რომ 1965 წელს მიღებულ თუჯიდან შეიძლება ერთი მეტრი სისქეის ისეთი სვეტის ჩამოსხმა, რომელსაც თუ დედა-

მიწის სფეროს ღერძივით გავეკეროდით, მისი ბოლოები პოლუსებს 1000 კილომეტრით გასცდებოდა.

...რომ 1965 წლის ბოლოსათვის ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა იმდენ ახალ ბინას მიიღებს, რამდენიც საკმარისი იქნებოდა რევოლუციამდელი მოსკოვის ოდენა 30 ქალაქის მცხოვრებთათვის.

...რომ ჩვენი ქარხნების კონვეიერებიდან ერთი წუთის განმავლობაში ჩამოდის 5 ავტომანქანა, 25 ველოსიპედი, 41 რადიომიმღები, 600 000 მოსწავლის რვეული.

...რომ შეიდწლეედნი ბეგრი ახალი რკინიგზა აშენდება. 1965 წლის ბოლოსათვის სსრ კავშირის მთელი რკინიგზის ლიანდაგი სიგრძით დედამიწის ეეკვატორზე სამჯერ მეტი იქნება.

...რომ მარტო 1965 წლის გეგმის შესასრულებლად რეკონსტრუქციამდელი რუსეთის ელექტროსადგურებს 250 წელიწადი მოუწევდათ მუშაობა.

...რომ ამჟამად ტრაქტორთა მსოფლიო წარმოების ერთი მეოთხედი საბჭოთა კავშირზე მოდის.

...რომ ჩვენი ქვეყანა 9 დღეში ამზადებს იმდენ სამრეწველო პროდუქციას, რასაც რევოლუციამდელი რუსეთი ერთ წელიწადში უმზადებდა.

...რომ იმ რაოდენობის სათბობისაგან, რომელსაც ჩვენი შახტიანი შეიდწლეედის ბოლოს მოგვეცემენ, შეიძლებოდა 170 ხეოფსის პირამიდის აშენება.

...რომ, თუ 1965 წელს გამოდნობილი ფოლადის მთელი რაოდენობას გავანაწილებთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობაზე, თითო კაცს ტონანახევარი შეეხვედა.

...რომ 1965 წელს ჩვენში იმდენი ქსოვილი გამოვა, შეიძლება იგი 800-ჯერ „შემოვსვიოთ“ მთვარეს.

...რომ შეიდწლეედის ბოლოსათვის მიღებული რძისაგან შეიძლება იმოდენა მდინარის გაშვება, რომელიც სიდიდით მდინარე ოკას ტოლი იქნებოდა.

ცხოველებმაც იციან მკურნალობა

შარშანდელ ივლისს, მაროკოს ერთ-ერთ ქალაქში თითქმის დაუჯერებელი ამბავი მოხდა. კლინიკაში მისულ რამდენიმე ავადმყოფთან ერთად თავის რიგს მოთმინებით უცდიდა ერთი უპატრონო ძაღლიც. როცა რიგმა მოუწია, საცოდავად მოწკმუტუნე ცხოველი შევიდა ექიმის ოთახში და საოპერაციო მაგიდის ახლოს ჩაცუცქდა.



გაოცებულმა ექიმმა გულდასმით გასინჯა უჩვეულო „პაციენტი“. ძაღლს თურმე თათი ჰქონდა დაშავებული, რომელიც ექიმმა მაშინვე მზრუნველობით შეუხვია.

ამ ამბავში დაუჯერებელი არაფერია. შინაური ცხოველები ხშირად „სთხოვენ“ დახმარებას თავიანთ პატრონს, როცა რაიმე უჭირთ.

ზოგჯერ გარეული ცხოველებიც მიმართავენ დახმარებისათვის ადამიანს. ცნობილი ფრანგი მონადირე დელმონი მოგვითხრობს ერთ დაჭრილ ორანგუტანგზე, რომელიც არა მარტო ნებას რთავდა ემკურნალათ მისთვის, არამედ თავისი მსხვილი თითებით აქეთ-იქით სწევდა ჭრილობის ნაპირებს, რათა უკეთ ამოეწმინდათ იარა.

ეს ორანგუტანგი, რომელსაც დელმონმა დიკი შეარქვა, მედიცინისადმი საოცარ მიდრეკილებას ამჟღავნებდა. მან პირველმა შენიშნა, რომ ერთი პატარა ორანგუტანგი მძიმედ დაავადდა. დიკი მზრუნველ დედასავით თავს ევლებოდა მას. ავადმყოფს სითბო სჭირდებოდა და დიკიც გუოში იხუტებდა, თავისი გძელი ბალნით ათბობდა; ხოლო როცა შეამჩნია, რომ ამ პატარა მაიმუნს წამალს ასმევდნენ, დიკმა მოიპარა წამლის ბოთლი, გააღებინა სნეულს პირი და მთელი წამალი ჩაასხა.

ერთხელ, როცა ერთმანეთს შორის ატეხილ ჩხუბში რამდენიმე მაიმუნი საკმაოდ დაშავდა, დიკმა მედიდური სახე მიიღო, თავი ექიმად წარმოიდგინა და შეუდგა დასახიჩრებულთა მკურნალობას. იგი ჭრილობებს წმენდდა ენითა და კაკლის ხის სველი ფოთლებით. მას მკურნალობის სხვა მეთოდიც ჰქონდა — ჭრილობაზე თიხას ადებდა. ერთ დღეს დელმონმა შენიშნა, რომ დიკი დაღონებული მიმჯდარიყო კუთხეში და თავი ხელებში ჩაერგო. მარცხენა ყბაზე კი, სადაც ჩირქოვანი მუწუკი აღმოაჩნდა, თიხის გუნდა მიედო. სამი დღის შემდეგ დიკმა ჭიანი კბილი ამოიღო და გახარებულმა იგი თავის პატრონს მიურბენინა.

კამერუნის მკვიდრთა მტკიცებით, დაჭრილი შიმპანზეები ტყეში ფოთლებს წყვეტენ და ჭრილობაზე იდებენ სისხლის შესაჩერებლად. ფოთლებსავე იყენებენ ისინი ჭრილობების მოსაშუშებლად.

ცხოველები ტალახის აბაზანებსაც იღებენ. დელმონი ჰყვება ქეცით დაავადებულ აფრიკულ კამეჩებზე, რომლებიც მიეშურებოდნენ ტბისკენ და ყელამდე ჩადიოდნენ ტალახში. სამკურნალო ტალახი სპობდა ქეცის გამომწვევ მატლებს და მალე დაავადებული კანი კვლავ ბეწვით იფარებოდა.

თვით თევზებიც კი გრძნობენ, თუ რა სჭირდებათ მათ თავიანთი ავადმყოფობის მოსარჩენად. დელმონმა ძალზე საინტერესო დაკვირვება აწარმოა მფრინავ თევზებზე. თურმე, თევზები ზღვის ტალღებიდან სიამოვნებისა ან მტრისაგან თავის დაღწევის მიზნით როდი ამოფრინდებიან ხოლმე. აღმოჩნდა, რომ ამ პატარა თევზებს კანის რაღაც ავადმყოფობა აწუხებთ, — ზოგიერთ ადგილას მათ ქერქი გადამძვრალი აქვთ. დელმონის აზრითა და შემდეგ ჩატარებული ცდებით დადგინდა, რომ თევზები ზღვიდან ამოფრინდებიან იმისათვის, რათა სხეულს რამდენიმე წამით მაინც მოხვდეს მზე.



დამტკიცებულია, რომ ცხოველები, განსაკუთრებით კი გარეული ცხოველები, არასოდეს ძღებიან ზედმეტად და არც ისეთ რამეს სჭამენ, რაც მათ ავნებს. ცხოველებმა იციან ზოგიერთი ბალახის სამკურნალო თვისება. ალბათ, ბევრს შეგინიშნავთ თუ როგორ დაეძებს ზოგჯერ ავადმყოფი კატა ან ძაღლი ბალახებში მისთვის საჭირო მცენარეს. თვით ლომებსაც კი შეუძლიათ აფრიკის უდაბნოებში მოძებნონ სამკურნალო ბალახები და შეჭამონ იგი, როცა ამის საჭიროებას გრძნობენ.

მკურნალობის ნიჭს არც ფრინველები ყოფილან მოკლებული. ფრანგ მონადირესა და ნატურალისტს ფატიოს ბევრჯერ შეუმჩნევია, როგორ ოსტატურად „იხვევდა“ ნისკარტით ჭრილობას ან გადატეხილ ფეხს რომელიმე დაჭრილი ჩიბუხა. ეს ფრინველები სალბუნად თურმე საკუთარ ღინღლს იყენებენ.

არსებობს კიდევ მრავალი მაგალითი, რომელიც მიგვითითებს, ცხოველთა მკურნალობის უნარზე. ჩანს, ბუნება ცხოველებს ანიჭებს ინსტიქტს, რაც მათ სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შენარჩუნებაში ეხმარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი

თუ გინდა გახდე მოთხილამურე

რომელ თქვენგანს არ უნახავს კინოფილმები, სადაც მეთხილამურეები ელვისებურად ეშვებიან მთის ფერდობზე, სწრაფად და მოხდენილად უხვევენ გვერდს წინააღმდეგობებს, თავს ევლებიან ხრამებსა და სხვა დაბრკოლებებს.

ცხადია, ისეთი ვირტუოზულობის მიღწევა, როგორიც მსოფლიო და ოლიმპიურ ჩემპიონებს ახასიათებთ, წლობით ვარჯიშსა და დიდ ნებისყოფას მოითხოვს, მაგრამ თხილამურების ანბანი ყველა თქვენგანმა უნდა იცოდეს და ეს არც ისე ძნელი საქმეა.

იმისათვის, რომ ისწავლო სლალომი, პირველ ყოვლისა საჭიროა თხილამურები მტკიცედ გქონდეს მორგებული ფეხზე; უნდა გახსოვდეს, თუ თხილამურები კარგად არ გაქვს ფეხზე მორგებული, მიხვევ-მოხვევას ვერ ისწავლი.

მაშ ასე. თხილამურები ფეხზე უკვე მორგებული გაქვს და გორაკზე ხარ ასული. ახლა ფერდობზე დაშვება გსურს. ჰო, მართლა, ამისათვის ხომ ჯერ საჭიროა მობრუნდე. შენ ხომ ზურგით დგახარ თავდაღმართის მიმართ. დაეყრდენი ჯოხებს, ცალი თხილამური გასწიე წინ და მაღლა, შემოატრიალე და ძირს დადგი. შემდეგ მეორე ფეხიც ასწიე და გვერდზე მიადგი. ახლა უკვე მზად ხარ დასაშვებად. დაეშვი კიდევაც, მაგრამ, აი, შეგხვდა პირველი დაბრკოლება, გვერდზე გახვევაა საჭირო. გადაიტანე ტანის სიმძიმე ცალ თხილამურზე და ოდნავ იაჯექი. მეორე გაათავისუფლე, თანაც თხილამურის ცხვირი წინ და გვერდზე გასწიე, ახლა უცებ გადაიტანე სიმძიმე ამ ფეხზე და გათავისუფლებული ფეხი მას მიადგი. არ დაივიწყო, რომ მოძრაობის შესრულების დროს ოდნავ ჩამჯდარი და წინ გადახრილი უნდა იყო (სურ. 1).

თუ ფერდობი ძალზე დახრილია, მაშინ სჯობს სხვაგვარი ბრუნვა გამოიყენო. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ თხილამურების თავები თითქმის ერთმანეთზეა მიდებული, ბოლოები კი — გაშლილი. ფეხის ტერფები შიგა მხარეს არის შემოტრიალებული, რაც შესამჩნევად ამცირებს სისწრაფეს (სურ. 2).

ასეთი მდგომარეობიდან თუ მობრუნება გსურს, იმ თხილამურის ბოლო, რომელიც სიმძიმისაგან თავისუფალია, გვერდზე გასწიე და შიგა მხარისკენ დააფერდე, ამასთან, თანდათან ტანიც მოატრიალე მოსაბრუნებელი მიმართულებით და ბოლოს, მეორე თხილამური პირველს გაუსწორე. (სურ. 3.)

თუ ამ ორ მოძრაობას კარგად შეითვისებ, მაშინ ფერდობზე დაშვება აღარ გაგიჭირდება. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დიდი სისწრაფის დროს ასეთი მოძრაობით მობრუნება ძნელია. მაშ, რის გაკეთებაა საჭირო, როდესაც დიდი სისწრაფის დროს გსურს მიბრუნება? ვთქვათ, მარჯვნივ გინდა მიბრუნდე, ამისათვის, პირველ ყოვლისა, საჭიროა ტანის სიმძიმე გადაიტანო მარცხენა ფეხზე, ამის შემდეგ ოდნავ უნდა ჩაჯდე და მარცხენა ჯოხი წინ გასწიო. ახლა უკვე მობრუნებაც შეიძლება. მიაბრუნე მარცხენა თხილამურის ბოლო, შიგამხარეს დააფერდე და ფეხით მიეყრდენი მას, შემდეგ მთელი ძალით მოაბრუნე ტანი ბრუნვის მიმართულებით, თხილამურები იწყებენ მობრუნებას, სწორედ მაშინ უნდა შეაერთო ისინი ანუ მარცხენას მარჯვენა უნდა მიადგა. გახსოვდეს, რომ ამ მოძრაობის შესრულების დროს მუხლებში ოდნავ მოხრილი უნდა იყო (სურ. 4.)



ამ მოძრაობების შეთვისება იოლი როდია, ბარე ასჯერ იგორებ თოვლში, შეიძლება იტკინო კიდევაც რამე, მაგრამ გული არ გაიტეხო. გაიხსენე ბრძნული ანდაზა: „გამეორება ცოდნის დედაა“. გახსოვდეს, რომ მთავარია თითოეული მოძრაობის ხშირად, ძალზე ხშირად გამეორება. სპორტული დაოსტატებისათვის დიდი შრომაა საჭირო და ვისაც შრომა არ ეზარება, მხოლოდ ის მიაღწევს სასურველ შედეგს.

გ. ჩხარტიშვილი

გოლიათი კიბორჩხალა

იაპონიის ზღვაში ცხოვრობს კიბორჩხალა, რომელიც უზარმაზარ ობობას წააგავს. გოლიათ კიბორჩხალას ძალზე გრძელი ფეხები აქვს. მისი ფეხისგულები თეფშისოდენაა. ასეთ ოჩაფეხებზე შემდგარი კიბორჩხალა სამმეტრიან ნაბიჯებს დგამს და თავისუფლად ძლევს ყოველგვარ წინააღმდეგობას. ეს თითქმის უწყინარი კიბორჩხალა გარეგნულად მეტად უცნაური და საშინელია.



მცენარიანი თევზი

თევზი კეფალი ყველასათვის ცნობილია, მაგრამ მის თავზე რომ მცენარეს შეუძლია აღმოცენება, ეს შეიძლება ბევრისათვის უცნობიც იყოს.

ეს ამბავი შავ ზღვაში მოხდა. მეთევზეებმა ერთი ისეთი კეფალი დაიჭიროს, რომლის სიგრძე ათ სანტიმეტრს აღწევდა. მას თავზე თაიგულივით ამოსვლოდა თავის ტანთან შედარებით ორჯერ უფრო მეტი სიგრძის ერთი კონა წყალმცენარე.

ცხადია, ოდესღაც კეფალს, ალბათ, თავი გაეკაწრა. იარაში წყალმცენარის სპორა მოხვდა, იქ კი საკმაოდ ნოყიერი საარსებო „ნიადაგი“ რომ ჰპოვა, — აღმოცენდა. მცენარე თანდათან იზრდებოდა და თევზს აწუხებდა. მას თავი ზემოთ ჰქონდა აწეული, სიღრმეში ვერ ჩადიოდა, ზედაპირზე ცხოვრობდა. დაიჭირეს ის და ნოვოროსიისკის ბიოლოგიური სადგურის მუზეუმში მიიყვანეს.



ტრგვალიანი ჩიტი

ამერიკის კონტინენტზე ცხოვრობს ფრინველთა შორის ყველაზე პატარა ჩიტი. მისი წონა ხშირად ორ გრამსაც არ აღემატება. ამ ფრინველს კოლიბრს უწოდებენ. მისი კვერცხი გრამის ორ მეათედს იწონის და სირაქლემას კვერცხთან შედარებით ექვსიათასჯერ ნაკლებია. ამ ნამცეცა ჩიტის ექვსასი სახეობა არსებობს. კოლიბრი მეტად სწრაფი და გაბედული ფრინველია. მას შეუძლია ფრთების უსწრაფესი მოძრაობით ჰაერში გაჩერდეს ერთ ადგილას. იგი წვრილი მწერებითა და ყვავილების ნექტარით იკვებება. კოლიბრს მტერი არ ჰყავს, მაგრამ ხანდახან თვითონ იგი მტრობს ხოლმე ისეთ ძლიერ ფრინველებს, როგორიცაა ბუ და შევარდენი. ამ ფრინველებს კოლიბრი თავისი ბასრი და ნემსივით წვრილ ნისკარტს პირდაპირ თვალში ატაკებს ხოლმე. ხშირად უნახავთ, როცა დამფრთხალი შევარდენი „კუდამოძუებული“ გაურბის ხოლმე კოლიბრს.

ა. ნემსაძე

გონებამახვილი პაციენტი

— ძალიან ცუდად გრძნობ თავს? — ჰკითხა ექიმმა ბავშვს, — აბა, მაჩვენე ენა, გეთაყვა.

— რა საჭიროა, ექიმო, — უპასუხა პატარამ, — არავითარ ენას არ შეუძლია გადმოგცეთ, თუ როგორ ავად ვარ.

ალარ განმეორდება

მასწავლებელი — ჯონ, რატომ დაიგვიანე?

ჯონი — მაპატიეთ, მასწავლებელო, ყელ-ყურს ვიბანდი, მაგრამ პირობას გაძლევთ ეს აღარ განმეორდება.

ვერ შენიშნა

დედა — ჯონ, ამ დილით კარადაში ორი ნაჭერი ნამცხვარი შევინახე, ახლა კი მხოლოდ ერთი ნაჭერია. ხომ ვერ ამიხსნი, როგორ მოხდა ეს?

ჯონ — როგორ არა, დედი, კარადაში სიბნელე იყო და, ალბათ მეორე ნაჭერი იმიტომ ვერ შენიშნე.

* * *

მასწავლებელი — მაგიდაზე რომ ოთხი ბუზი იყოს და ერთი მოვკლათ, რამდენი ბუზი დარჩება?

გოგონა — ერთი, მხოლოდ მოკლული ბუზი, მასწავლებელო.

* * *

მასწავლებელი: — ჯიმ, მიპასუხე, გეთაყვა, რამდენი ომი გადაიხადა ესპანეთმა მეთხუთმეტე საუკუნეში?

ჯიმი — (მკვირცხლად) — ექვსი, მასწავლებელო.

მასწავლებელი — აბა ჩამომითვალე!

ჯიმი — პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე.

თარგმნა ბიძინა ფერაძემ

„ПИОНЕРИ“ журнал ЦК ЛКСМ Грузии и республиканского совета пионерской организации имени В. И Ленина.
№ 12 1961 г. Тбилиси, пр. Плеханова, 91. Тел. 5—07—43
სსსრ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა «ნაკადული». | რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. 91. ტელ. 5-07-43
УЭ 09071 ტირ. 24.000. პირ. ფორ. რაოდ. $4^1/_{21}$ ფიზ. ფორ. რაოდ. 2. ხელმოწერ. დასაბ. 30/XI-61 წ. სტამბის შეკვ. 1919. გამომც. შეკვ. 655. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის
ბ|კ «კომუნისტი». | რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. | ფასი 20 კაპ. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლედ ყველაფერზე

მეტეორები ატმოსფეროს ამკვრივებენ

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების საშუალებით მიღებულ მონაცემებიდან ირკვევა, რომ დედამიწის ატმოსფერო ყოველდღიურად ნთქავს 100 ათას ტონაზე მეტ საპლანეტათშორისო მტვერს. მეტეორების წვიმის დროს კი ეს რიცხვი შეიძლება ასჯერ გაიზარდოს.

მეტეორთა ნაწილაკების უზარმაზარი ენერგია საკმარისია იმისათვის, რომ იონოსფეროს ქვედა ფენა 9 გრადუსით გათბეს.

მოგზაური ჭიანჭველები

ძალზე დაუდგრომელნი არიან პაწაწინა ტროპიკული ჭიანჭველები. აცოცდებიან რა გემებზე სამხრეთ ამერიკის ნავსადგურებში, გადასერავენ ოკეანეს და ბოლოს იტალიის ერთ-ერთ დიდ ნავსადგურში — გენუაში გადმოსხდებიან ხოლმე. ხმელეთზე გადმოსული „ემიგრანტი" ჭიანჭველები მთელ ქვეყანას მოედებიან და დაუნდობლად სპობენ გზად შემხვედრ დიდ იტალიურ ჭიანჭველებს. ამას წინათ, პროფესორმა მარიო პავანომ მოახერხა გამოერკვია თუ რა საშუალებებით ხოცავენ ეს „ჯუჯები" ადგილობრივ „გოლიათებს". აღმოჩნდა, რომ ტროპიკულ ჭიანჭველებს თავიანთ გლანდებში აქვთ შხამი, რომელიც მწერების უმრავლესობისათვის მომაკვდინებელია, მაგრამ ადამიანს არ ვნებს.

მზისა და ქარის საშუალებით

ძველი არქიტექტურის ბევრი თაყვანისმცემელი თავს იმტვრევს იმაზე, თუ რა საშუალებით უნდა გასწორდეს გვერდზე გადახრილი პიზანის კოშკი. სპეციალურ კომისიას იტალიის ბევრი ადგილიდან მოსდის კოშკის გასწორების ნაირ-ნაირი პროექტები. კომისია წელიწადში ერთხელ იხილავს ამ პროექტებს.

ერთ-ერთი პროექტის ავტორი — ძველი ხიდების აღდგენის სპეციალისტი კონ-



ტონიო ფიქრობს, რომ მერყევ ნიადაგზე აშენებული კოშკი მზისა და ქარის ზემოქმედებით გადაიხარა. ამიტომ, სწორედ მზემ და ქარმა უნდა გაასწორონ იგი.

კონტონიოს აზრით, კოშკი 180 გრადუსით უნდა შემოაბრუნონ და... 787 წლის შემდეგ იგი კვლავ შვეულ მდგომარეობას მიიღებს.

„პაპა-შვილიშვილის" ხე

გინკგოს ხე — დიდი ხნის წინათ გადაშენებულ ხეთა ოჯახის ერთადერთი წარმომადგენელია. მისი სამშობლოა ჩინეთი, საიდანაც იგი ჯერ იაპონიის კუნძულებზე გადარგეს, შემდეგ კი — ევროპასა და ამერიკაში.

გინკგო ძალიან ნელა იზრდება. ჩინელები ზოგჯერ მას „გუ-სუნ-შუს" („პაპა-შვილიშვილის" ხე) ეძახიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ხნის დამრგველ ჭაბუკს შვილიშვილის ყოლამდე მოუნდება ცდა — ასე გვიან იწყებს გინკგო ნაყოფის მოსხმას.

გინკგოს ნაყოფი გემრიელია. ჩინელი ექიმები მას ხველებისა და სხვა ავადმყოფობათა წინააღმდეგ იყენებენ. ამ ხის მერქანი ძალზე დრეკადია და არც იბზარება. მისგან ავეჯსა და შესანიშნავ მხატვრულ ნაწარმს ამზადებენ.

გინკგოს წინათ წმინდა ხედ თვლიდნენ ჩინეთში. ამიტომ მას ხშირად ნახავთ სამლოცველოების გვერდით. ამჟამად მას რგავენ უმეტესად როგორც დეკორატიულ მცენარეს. განსაკუთრებით ლამაზია გინკგო შემოდგომაზე, როცა მისი ფართო, მარაოსებური ფოთლები ოქროსფერი ფიფქით იფარება.

პასუხები

კროსვოტრდი

ვერტიკალურად: 1. რა; 2. ასკილი; 3. ალიონი; 6. ინი; 7. თელავი; 8. გეო; 9. იადონი; 10. და; 11. აკაცია; 12. „ალი"; 14. დო; 18. კი; 20. აია; 21. უთო; 23. იარა; 24. კუ; 25. ირტიში; 26. ბზა; 28. ელგუჯა; 30. ანა; 31. ბათუმი; 32. „ივერია".

ჰორიზონტალურად: 1. რიწა; 3. არვე; 4. ორბი; 5. ისლი; 7. თაგვი; 10. დანა; 13. იავა; 14. „დილა"; 16. „აიდა"; 17. აგრა; 19. ია; 21. ურალი; 22. ომეგა; 24. კირი; 27. აბაი; 29. უშბა; 31. ბალი.

გამოცანები

1. ობობა; 2. ბურთი.

სცადეთ წაიკითხოთ

ცხრილში მოთავსებულ ყოველ ასოს შეესაბამება ორი მაჩვენებელი: სამკუთხედი (ვერტიკალურ სვეტში) და მასში მოთავსებული სწორი ხაზი ან წერტილი (ჰორიზონტალურ სვეტში). ამ ორი ნიშნის გადაკვეთის უჯრედებში ამოიკითხება სათანადო ასო და მიიღება ვაჟას სიტყვები: „ჩემს ტურფა მხარეს მკერდს დავაკერე სიტყვა საგმირო, სიტყვა ლამაზი".

გარეკანზე—„ზამთარი", ნახ. მ. ახობაძისა.

6 1/7 22

ეროვნული
ბიბლიოთეკა